ალია

N170/3292/ 10 ნოემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — სვანეთში თოვლის კაცის ნაკვალევს მიაგნეს! 4



## „რუსთავი 2“-ის გამო ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებები მოხდება?



9

## „შუშის სასახლის კულუარები“ — რატომ არის უკმაყოფილო ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნებით“, ვინ დარჩება უმუშევარი და ვის დაიჭერენ უახლოეს დღეებში ახალი ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ



11

„ბოდიშს გიხდით, რომ ჩემი ფერადკანიანი შვილი თქვენს სკოლაში, თქვენს კლასში დადის“ — ჭაბუა ამირეჯიბის შვილიშვილი რუსა ამირეჯიბი აპირებს, 130-ე სკოლას დისკრიმინაციის ბრალდებით უჩივლოს 3

განათლების მინისტრის ტყუილები იუნესკოს გენერალური კონფერენციის 38-ე სესიიდან 4

„ხალვაშმა არაფერი არ მისცა ზვიად ცეცხლაძეს, ისე გაიფორმა მისი ქონება და წაართვა“ 5

და როცა ადამიანების უფლებებს შელახავს მოსამართლე, ამ ადამიანს ვინ დაიცავს, ქალბატონო მინისტრო?! 5

## დატოვებს თუ არა „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციას, რა შედეგი მოჰყვება და რას მოუტანს ეს ნაბიჯი „ქართულ ოცნებას“ და თავად „რესპუბლიკელებს“? 6

დემურ გიორხელიძე:

## „სიტუაცია ზღვარს არის მისული“

„რა დონემდე შეუძლია ხალხს თმენა და სიტუაცია როდის შეიძლება აფეთქდეს“



7

მამა ელიზბარი: „საქმეს კანცელარიასთან შიმშილობა კი არ უნდა, უნდა გამოათრიო ეს მთავრობა კაბინეტებიდან და სულ ცხვირ-პირში უნდა ურტყა!“

ასე, ზვიად ძიძიგურიც შიმშილობდა უახლოეს წლებში, მაგრამ მშვენივრად მიირთვა მერე, რომ მიხვდა, აზრი რომ არ ჰქონდა შიმშილობას



13

ქალების ამ პროფესიებს მკერდის კიბოს პროვოცირება შეუძლია 16



ჰიპერმარკეტის ქსელმა ვაკანსია ერთმანეთში გადახლართული გირლანდების „მხსნელზე“ გამოაცხადა 15



ჯონ ლენონის მოპარული გიტარა აუქციონზე 2,4 მილიონად გაიყიდა 15



იაპონელების მტკიცებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა 15



16



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ჰკითხეთ ერთი, ეს „ფრიდომ ჰაუსია“, თუ ვინც გინდა იყოს, რა ქნას ხელისუფლებამ, ჩაერიოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში? — ნოდარ ჯავახიშვილი



– ვის რა უნდა, გამაგებინეთ, „ფრიდომ ჰაუსია“ ეს თუ „რუსთავი 2“? – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასების საპასუხოდ განაცხადა.

– როგორც ჩანს, მათ არ იციან, რაზეა საუბარი. მე კიდევ ერთხელ გეუბნებით – რამდენი ხანია, მიდის ეს საკითხი და ვერავინ გამცა პასუხი. რა გინდათ, სამართლიანობა არ უნდა აღდგეს? ადამიანი თუ ჩივის, სასამართლომ არ განიხილოს ეს საკითხი? ვის რა უნდა, გამაგებინეთ, „ფრიდომ ჰაუსია“ ეს თუ „რუსთავი 2“? თუ მოქალაქემ ვიჩივლე, სასამართლომ არ განიხილოს? მაპატიეთ, მე სულ არ ვიცოდი, ყარამანიშვილებისაა ეს „რუსთავი 2“, თუ ვისი და საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ეს. სხვა ტელევიზიებში როგორ არის, არ იცვლებიან დამფუძნებლები? – განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

– ანუ ერთი ყოფილი ჩივის და სასამართლომ არ განიხილოს? სად მივდივართ მაშინ? ჰკითხეთ ერთი, ეს „ფრიდომ ჰაუსია“, თუ ვინც გინდა იყოს, ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, რა ქნას ხელისუფლებამ, ჩაერიოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში? ეს აბსოლუტურად გაუგებარია ხომ? – განაცხადა ჯავახიშვილმა.

საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ჰერმანი მიიჩნევს, რომ „რუსთავი 2“-ის საქმე ქართული სახელმწიფოსთვის უკან გადადგმული ნაბიჯია.

ჰერმანთან ინტერვიუს „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ მედიაში ჩარევა უნდა შეწყვიტოს. როგორც „ამერიკის ხმა“ წერს, ასეთი მოწოდებით გამოეხმაურა ადამიანის უფლებების დამცველი ამერიკული ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსი“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმეს, მას შემდეგ, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანიის ორ დირექტორს უფლებამოსილება შეუჩერდა და დროებით მმართველებად არხის ყოფილი მფლობელი დავით დვალი და რევაზ საყევარიშვილი, ასევე ნაციონალური მაუწყებლის – ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი გენერალური დირექტორი დაინიშნენ.

რობერტ ჰერმანის განცხადებით, „რუსთავი 2“-ის საკითხი უფრო დიდი პრობლემის ნაწილია, რაც საფრთხეს უქმნის მედიის თავისუფლებას, უგულვებელყოფს სამართლებრივ პროცესებს და უარყოფს კანონის უზენაესობას. ჰერმანი ამ ყოველივეს მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი მოსაზრებების ცენზურის მცდელობად აღიქვამს. (ინტერპრესნიუსი)

**„ფრიდომ ჰაუსს“ კი არა, ხალხს ჰკითხეთ, ნოდარ ბატონო, ხალხს, უნდა თუ არა სამართლიანობის აღდგენა? პასუხი ბუნებრივია, დადებითი იქნება, ოღონდ სამართლიანობის აღდგენას „ოცნებისგან“ ჩვენ დიდი ხნის წინათ ველოდით, ახლა კი, როცა უმოქმედობით ამდენი პრობლემა შეგექმნათ, ამდენი ჭკუის მასწავლებელი გამოგიჩნდათ, დადექით და იგერიეთ. ძაღლი თქვენ მოკალით, ძერაც თქვენ მოკალით და რაც მთავარია — ხალხს იმედი თქვენ მოუკალით. ჰოდა, იყავით ახლა მუდმივად თავის მართლების რეჟიმში!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## და როცა ადამიანების უფლებებს შელახავს მოსამართლე, ამ ადამიანს ვინ დაიცავს, ქალბატონო მინისტრო?!



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ მოსამართლე თამაზ ურთმელიძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დაბარებასთან დაკავშირებით, განმარტება თავად საბჭომ უნდა გააკეთოს. თეა წულუკიანის თქმით, მას განმარტება არ უთხოვია თამაზ ურთმელიძისთვის, რადგან არავის აქვს უფლება, განმარტება მოსთხოვოს მოსამართლეს.

– მე განმარტება არ მითხოვია ბატონი ურთმელიძისთვის, რადგან არავის აქვს უფლება, განმარტება მოსთხოვოს მოსამართლეს. მე ვთქვი ერთი რამ, რომ მაინტერესებს, იუსტიციის საბჭო სხდომაზე თავად რას იტყვის. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მართლმსაჯულების სისტემის მენეჯერი ორგანო გახლავთ და თუკი მართლმსაჯულებაში რაიმე ხარვეზია, მან პასუხი უნდა გასცეს საზოგადოებას, თუ როგორ ხდება მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლა, არის თუ არა რაიმე ტიპის პრაქტიკული ხარვეზი, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება და მეორე მხარე ამას საჯარო რეესტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად იგებს. რაც მართლმსაჯულების ნაწილში ამ საქმესთან დაკავშირებით კითხვები დაისვა, ამ კითხვებს, ორგანიზაციულს თუ სხვა პრაქტიკულ კითხვებს პასუხი უნდა გასცეს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, – განაცხადა წულუკიანმა.

მინისტრის თქმით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ასევე, უნდა აჩვენოს, რომ მას შესწევს უნარი, მოსამართლე შეურაცხყოფისა და მუქარისგან დაიცვას.

– განმარტების მოთხოვნის უფლება არავის აქვს მოსამართლისგან, მაგრამ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საზოგადოებას თავისი მოსაზრებები და მომავლის ხედვაც უნდა უთხრას, მსგავსი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე თუ როგორ აპირებს მართლმსაჯულების უკეთესად ადმინისტრირებას, – აღნიშნა წულუკიანმა. (ინტერპრესნიუსი)

**მოკლედ, ხელშეუხებელია მოსამართლე, როგორი უდანაშაულობა და უნამუსობაც არ უნდა ჩაიდინოს, მოირგე მანტია და მიდი, მოვდივარ — რაც გაგიხარდება, რისი დილიხორიც გექნება, ისე მოიქეცი, კაციშვილი ხმას ვერ გაგცემს — მენეჯერი იცავს მოსამართლეს, ჩემო ბატონო და იმიტომ!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაციას ხო უშველეთ რამე და ყირიმის ანექსიაც თუ ეგრე „დაამარცხეთ“, აბა, ჰე!..



– ევროკავშირი ყირიმის უკანონო ანექსიას არ შეეგუება, – ეს განცხადება უკრაინაში ვიზიტით მყოფმა უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ ყირიმელი თათრების ლიდერებთან შეხვედრაზე გააკეთა.

ვიზიტის ფარგლებში, მოგერინი უკრაინის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს, უმაღლესი რადას სპიკერსა და საპარლამენტო ფრაქციების ლიდერებს შეხვდა. 10 ნოემბერს კი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს ეწვევა. (ინტერპრესნიუსი)

**ჰოდა, საქართველოში რომ ჩამოვა, ახლა აქ იტყვის, ვაღიარებთ და პატივს ვცემთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასო, მაგრამ სანქციები ჩვენ გამო არავის დაუწესებია რუსეთისთვის, მხოლოდ უკრაინის თავზე ჩამომხობის შემდეგ მოაფიქრდათ ეს, თუმცა რა ხეირი, რო?!**

## ბორის ნემცოვის მკვლელობის სავარაუდო ორგანიზატორის ვინაობა ცნობილია



რუსი ოპოზიციონერის ბორის ნემცოვის მკვლელობის სავარაუდო ორგანიზატორის ვინაობა ცნობილია. როგორც რუსული მედია წერს, გამოძიება ირწმუნება, რომ ის ჩეჩნურ ბატალიონ „სევერის“ ყოფილი ოფიცერი რუსლან მუხუდინოვია. მას ბრალდება მკვლელობის ორგანიზების მუხლით დაუსწრებლად წაუყენეს და ფედერალურ ძებნაში გამოაცხადეს.

ბორის ნემცოვის ქალიშვილის, ჟანა ნემცოვის ადვოკატმა ვადიმ პროხოროვმა „ბიბისის“ განუცხადა, რომ მუხუდინოვი რამზან კადიროვის ახლობლის, ბატალიონ „სევერის“ მეთაურის მოადგილის, რუსლან გერემეევის მეგობარი და ყოფილი მძღოლია.

– ძალიან სამწუხაროა, რომ გამოძიებას არ აქვს ნება, ბრალდება გერემეევსაც წაუყენოს, რომელიც რამზან კადიროვის „საახლობლო წრეში“ შედის, – განაცხადა პროხოროვმა.

რამდენიმე თვის წინ რუსული მედია, სამართალდამცავ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ ნემცოვის მკვლელობის სავარაუდო ორგანიზატორი სწორედ რუსლან გერემეევია, თუმცა გამოძიებას მისი დაკითხვის შესაძლებლობა არ აქვს, რადგან გერემეევი ჩეჩნეთში გაძლიერებული დაცვის ქვეშ იმყოფება. მოგვიანებით, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გერემეევმა რუსეთი ყალბი დოკუმენტებით დატოვა. თავად რამზან კადიროვი ნემცოვის მკვლელობასთან გერემეევის კავშირს უარყოფს.

რუსი ოპოზიციონერი ბორის ნემცოვი 28 თებერვალს, კრემლთან ახლოს, ქუჩაში მოკლეს. გამოძიების ფარგლებში დაკავებულია 5 ადამიანი: სავარაუდო მკვლელი ზაურ დადაევი, ასევე ჰამზატ ბახაევი, ტემირლან ესკერხანოვი და ძმები ანზორ და შადიდ გუბაშევები. ყველა მათგანი ჩეჩნეთის მკვიდრია. (ინტერპრესნიუსი)

## აჰა, ვიტყვით მერე რაღაცას პრეზიდენტზე და ჩამოუშვებთ მეტრიან ცხვირებს!..



იურიდიულ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი კახა კოჟორიძე ათონელის რეზიდენციასთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრის განცხადებას ეხმაურება და ამბობს, რომ ათონელის რეზიდენციის ბედი არა პრეზიდენტის ადმინისტრაციას, არამედ მთავრობას ეხება. კოჟორიძე განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტი პოზიციის შეცვლას არ აპირებს.

– ამ კითხვის ადრესატი არ არის არც პრეზიდენტი და არც პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ჩვენ დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინათ ოფიციალური წერილობითი პასუხი გავეცით, რომ პრეზიდენტი სადმე სხვაგან გადასვლას არ აპირებს და ეს პოზიცია არ შეცვლილა. ამ კითხვის ადრესატები არიან მთავრობის წევრები, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ ათონელის ბედი. ათონელის რეზიდენციის თუ შენობის ბედი არ ეხება პრეზიდენტის ადმინისტრაციას. პრეზიდენტი რომ იქ არ გადადის, ეს საზოგადოებისთვის ცნობილია, – განაცხადა კახა კოჟორიძემ. (პირველი რადიო)

**კი, საზოგადოებისთვის იყო ცნობილი, როგორ არა და გადასარევად გვახსოვს ყველას, რომ მარგველაშვილი ავლაბარში არ აპირებდა დარჩენას. მერე შეცვალა „პლასტინკა“ და, — არაო, აქ მირჩევნია, ათონელზე რა მინდა, იქ რა მესაქმებაო.**

**ამ უმნიშვნელო დაპირებას რომ ვერ და არ შეასრულებს პოლიტიკოსი, მისგან სხვა უფრო მნიშვნელოვან დაპირებებზე რაღა უნდა მოვითხოვოთ?!**

## კი დაგიჯერებდით, ქალბატონო მანანა, მაგრამ რომელი პოლიციელი დასჯილა აქამდე, ახლა რომ დაისაჯოს ვინმე?



პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე კომენტარს სოციალურ ქსელში აკეთებს:

– პროკურატურამ უკვე დაიწყო გამოძიება ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე. იმედს ვიტოვებ, რომ ამ დანაშაულის ჩამდენი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება, მაგრამ მანამდე დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს თანამდებობას ყველა ის პირი, ვინც ამ სამარცხვინო, ძალადობრივ დანაშაულთან შემხებლობაში იყო.

დაუშვებელია, ასეთ ხალხს მიანდო საზოგადოებრივი წესრიგისა და ადამიანების დაცვა დამნაშავეთაგან, ეს მხოლოდ ერთი ადვოკატის უფლებების დარღვევა კი არა, სახელმწიფოს მიერ გაცხადებული პოლიტიკის, ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის წინააღმდეგ წასვლაა.

როგორც ჩანს, პოლიციის სისტემაში კიდევ გვყავს ძალადობაზე ორიენტირებული „ჩინოსნები“, რომლებიც რეჟიმის დროს ამგვარ ქმედებებს სიამაყით სჩადიოდნენ.

ვიღაცას, ეტყობა, ძალიან მოუნდა ადვოკატთა პროფესიული გაერთიანების 10 წლისთავზე ხელისუფლებას ერთი ნაცემი ადვოკატი მაინც ჰყოლოდა (წინა ხელისუფლებას ხომ მრავლად ჰყავდა დაჭერილ-დაპატიმრებული), არ გამოვა, ბატონებო, მოძალადეებისთვის სივრცე აღარ არის პოლიციაში და საჯარო სამსახურში! იმედს ვიტოვებ, შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან იქნება სათანადო რეაგირება! – წერს კობახიძე. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ალიევის ვიზიტის დეტალები – „გაზპრომი“ და აფხაზეთის რკინიგზა ბაქო-თბილისის ურთიერთობებს ეჭქვეშ აყენებს




როგორც მოსალოდნელი იყო, ილჰამ ალიევის ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე მსჯელობა წარიმართა ბაქოსთვის ძალიან უსიამოვნო საკითხზე – საქართველოში „გაზპრომის“ გაზის შემოტანაზე, რაც ბოლო კვირების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების ნამდვილ თავსატეხად იქცა.

მართალია, ილჰამ ალიევს პრეზიდენტის სასახლეში, გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე საქართველოში რუსული გაზის დაბრუნების საკითხზე არ უსაუბრია, მაგრამ სიტყვით გამოსვლისას ცალსახა განცხადება გააკეთა მის ქვეყანაში გაზის მარაგის არსებობის შესახებ.

– აზერბაიჯანს გაზის ძალიან დიდი მარაგი აქვს და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შევძლებთ, 100 წლის შემდეგაც დავაკმაყოფილოთ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნა, არამედ მეზობელი ქვეყნები და ევროპაც, – განაცხადა ილჰამ ალიევმა. ფაქტობრივად, ამ სიტყვებით აზერბაიჯანის პრეზიდენტმა გააბათილა ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ აზერბაიჯანს არ აქვს საქართველოსთვის გაზის დამატებითი მოცულობის მოწოდების შესაძლებლობა და სწორედ ეს განაპირობებს „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების გამართვას.

აზერბაიჯანულ მედიაში აქტიურად საუბრობენ, რომ ილჰამ ალიევს საქართველოში ვიზიტის დროს ამ ყველაფრისთვის წერტილი უნდა დაესვა და აღნიშნული განცხადება შეიძლება ამ მიმართულებით მხოლოდ პირველ ნაბიჯად ჩაითვალოს.

ამასთანავე, ირკვევა ისიც, რომ ალიევის ვიზიტის მთავარი მიზეზი არა საქართველოს ხელისუფლების გაურკვეველი თამაში „გაზპრომთან“, არამედ აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა იყო. აზერბაიჯანული მხარე კატეგორიული იყო აფხაზეთის რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით. სანდო წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ყველა დახურული ტიპის შეხვედრაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტი საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებს ულტიმატუმის ენით ესაუბრა და შეახსენა, რომ სასწორზე აზერბაიჯან-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა დევს. ალიევმა შეხვედრაზე ხაზგასმით ახსენა თურქეთის მთავრობის ურყევი პოზიცია, რომ აზერბაიჯანი და თურქეთი ძალიან დიდ ფინანსურ რესურსს დებენ ყარსის რკინიგზაში, არსებობს ფინანსური ინტერესებიც. ამიტომ ალიევმა ქართველებს ურჩია, გეგმებს ნუ შეიცვლიან და ნუ „თამაშობენ ჩრდილოელი მეზობლის“ თამაშს.

ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრისას ილჰამ ალიევმა მკაფიოდ თქვა, რომ არ დაუშვებს, აზერბაიჯანი გაწიონ და არ ჰქონდეს ბერკეტი, გავლენა მოახდინოს ამიერკავკასიაში რკინიგზის გახსნის პოლიტიკაზე...

როგორც გია ხუხაშვილმა და თორნიკე შარაშენიძემ გვითხრეს, ყარსის რკინიგზაში ჩადებული უამრავი რესურსის შემდეგ, არ არის გამორიცხული, აფხაზეთის რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ აზერბაიჯანს ოფიციალური შეხვედრის დროს საკითხი მწვავედ დაესვა.

გია ხუხაშვილი: „არ გამოვრიცხავ, რომ ეს საკითხი პრობლემურ თემებთან ერთად იყო ამ შეხვედრებზე განხილული, რადგან არის პრობლემები. შეიძლება ალიევმა ისაუბრა იმ საფრთხეებზე, რაც ოკუპირებულ რეგიონში რკინიგზის აღდგენასთან არის დაკავშირებული“.

თორნიკე შარაშენიძე: „ფაქტია, რომ ყარსის რკინიგზის მშენებლობა შეფერხებულია. ეს საქართველოსთვის ძალიან ცუდ რაღაცას ნიშნავს. რადგან ჩვენ უარს ვამბობთ მაგისტრალზე, რომელიც პირდაპირ გვაკავშირებს ევროპასთან. რაც შეეხება აფხაზეთში რკინიგზის აღდგენას, ეს არის რუსეთის პირდაპირ დაკავშირება სომხეთში არსებულ სამხედრო ბაზებთან. რაც აზერბაიჯანის ინტერესებს პირდაპირ ეწინააღმდეგება. აზერბაიჯანს, რომელიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია აქვს უფლება, გვითხრას, რომ ამ რკინიგზის აღდგენა მას არ სჭირდება და ეს მისთვის ცუდია. პრინციპში, ამ რკინიგზის აღდგენა საქართველოსაც არ აწყობს, ვის წისქვილზეც ეს ყოველივე ასხამს წყალს – რუსეთია“. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბოდიშს გიხდით, რომ ჩემი ფერადკანიანი შვილი თქვენს სკოლაში, თქვენს კლასში დადის“ – ჭაბუა ამირეჯიბის შვილიშვილი რუსა ამირეჯიბი აპირებს, 130-ე სკოლას დისკრიმინაციის ბრალდებით უჩივლოს



ჭაბუა ამირეჯიბის შვილიშვილი რუსა ამირეჯიბი აპირებს, 130-ე სკოლას დისკრიმინაციის ბრალდებით უჩივლოს. როგორც ის „ფეისბუკში“ წერს, მის შვილს კანის ფერის გამო მოსწავლეებმა შეურაცხყოფა მიაყენეს, დირექტორმა, მასწავლებლებმა და მანდატურმა კი ინციდენტი ისევ მის შვილს დააბრალეს.

– დანამდვილებით ვიცი, დღევანდელი ინციდენტის გამო ამოიჩემებენ მიმის, როგორც სხვა სკოლებში, აღარც ნიშანს დაუწერენ, რაც ეკუთვნის და ხელსაც შეუშლიან. 5 ქალი, მანდატურის ჩათვლით, მეცა ყელში, ვიმეორებ, იმის ნაცვლად, შერცხვენოდათ და თავი ჩაეღუნათ, მიმის ეჩხუბებოდნენ, ქართულის მასწავლებელმა მაკამ, მე ეგ თემა არ მეხებაო, ასე გამომიცხადა, როგორც კი დაველაპარაკე... აი, მითხარით, რა, არ ვუჩივლო 130-ე სკოლას დისკრიმინაციის ნიადაგზე? დამრიგებელმა კი მის გვერდით ბავშვს ლანძღავდნენ, ანუ ჩემსას, და ხმა არ ამოიღო და აქეთ მიმის აბრალებდა, მაგისი ბრალიაო, იმ ბიჭს ზურგზე ხელს უთათუნებდა... ნუ ყვირიხართო, 5 ქალი მეცა, არც მეყვირა?

ჰოდა, აი, ახლა რომ ვუჩივლებ, სამაგალითო იქნება ეს ყველასთვის, რომ ნებისმიერ არაქართველ ბავშვს შიშით შეურაცხყოფა აღარავინ მიაყენოს და მასწავლებლები მიხვდნენ, რომ ასეთი ბავშვი უნდა დაიცვან და არა მიზეზების შეთითხვნა დაიწყონ. ბოლო ჩემი სიტყვები იყო, ბოდიშს გიხდით, რომ ჩემი ფერადკანიანი შვილი თქვენს სკოლაში, თქვენს კლასში დადის-მეთქი! აქეთ ბოდიშს ითხოვდნენ. არ დავტოვებ მე ამას ასე, ყელში ამომივიდა! მხოლოდ მანდატური, ახალგაზრდა მამაკაცი იყო, რომელიც შეწუხდა, ცდილობდა, ქალები გაეჩუმებინა, გარეთ გამომყვა, იდგა დარცხვენილი.

აღარავის ვაპატიებ ჩემი შვილის გულის ტკენას! მორჩა! აღარ გავჩუმდები! – წერს ამირეჯიბი. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ამ მოსამართლეებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ გვარამიასთან, ეჭვი გვაქვს მიკერძოებულები იქნებიან“



ვახტანგ ხმალაძის თქმით, საპარლამენტო უმრავლესობა იზიარებს პარლამენტის პოზიციას, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების აცილება უნდა მოხდეს. პარლამენტის მოთხოვნა მოსამართლეების აცილებასთან დაკავშირებით სწორედ ხმალაძის კომიტეტმა შეიმუშავა.

– შეგვექმნა საფუძვლიანი ეჭვი კოლეგიის თავმჯდომარის ბატონი ვარძელაშვილისა და კოლეგიის წევრი ქალბატონი კოპალეიშვილის არაობიექტურობისა და მიკერძოებულობის გამო. არის კიდევ პიროვნული ურთიერთობები, როდესაც ამ ორ მოსამართლეს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ნიკა გვარამიასთან. ერთი-ერთი მათგანი იყო გვარამიას მოადგილე, როდესაც ის გახლდათ იუსტიციის მინისტრი, შემდგომ იყო მისი მოადგილე, როდესაც გვარამია გახლდათ განათლების მინისტრი... ისინი იყვნენ ერთი და იმავე გუნდის წევრი. შესაძლოა, მოთხოვნა ამანაც განაპირობა, – აღნიშნა ხმალაძემ.

თანაგუნდელს ეთანხმება ზურაბ ტყემალაძე და ამბობს, რომ პარლამენტის განცხადებაში გარკვევით წერია მოთხოვნის საფუძველი.

– დაწერილია გამართულად და კონკრეტულად. ყველაფერს ვეთანხმები, რაც განცხადებაში წერია, – განაცხადა ტყემალაძემ. (ნიუპოსტი)

**აი, რა წერია პარლამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში:**

**— საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ არსებობს გარემოებები, რომელიც ეჭვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიუკერძოებლობაში. ამის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ მათ აკავშირებთ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ახლობლური ურთიერთობა მოსარჩელე მხარის — შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ამჟამად დროებით უფლებამოსილებაშეჩერებულ გენერალურ დირექტორ ბატონ ნიკა გვარამიასთან. მოსამართლე ვარძელაშვილის მეუღლე ქალბატონი ანა ჟვანია ბატონი ნიკა გვარამიას განათლებისა და მეცნიერების მინისტრობის დროს იყო მისი პირველი მოადგილე, ხოლო ქალბატონი მაია კოპალეიშვილი ბატონი ნიკა გვარამიას მოადგილედ მუშაობდა მისი ჯერ იუსტიციის მინისტრის, ხოლო შემდგომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას...**

**ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სარჩელის მიღების, დარეგისტრირებისა და შემდგომი მსვლელობის პროცესი შეგნებულად და წინასწარგამიზნულად იყო გაუმჭვირვალე, რათა სასამართლოს სწორედ 2 ნოემბერს მიეღო „რუსთავი 2“-ის ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება, ოღონდ ისე, რომ არ განეხილა მისი საქმე და სასურველი გადაწყვეტილება მიღებული ყოფილიყო სხვა მოსარჩელეების საქმესთან დაკავშირებით, ვიდრე 2 ნოემბერს დილით არ წარმოიშვა ახალი გარემოებები — იმავე საკითხზე სხვა მოსარჩელეების მიერ შეტანილი სარჩელების უკან გათხოვა, დაგეგმილი სხდომის ვერჩატარება და „რუსთავი 2“-ისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების სხვა საქმეზე ვერმიღება, — ნათქვამია პარლამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**



## такие журналисты, как вы, на улице не валяются-ო

ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ტელეკომპანია „პირველის“ გენერალურ პროდიუსერად დაინიშნა.

ინგა გრიგოლიას ინფორმაციით, იანვრიდან ტელეკომპანიის ეთერში მისი საავტორო გადაცემაც დაიწყება. ინგას პირველი სამუშაო დღე „პირველში“ 9 ნოემბერს ჰქონდა.

როგორც ამბობს, არხის გენერალური პროდიუსერობა ძალიან საინტერესოა. რაც შეეხება საავტორო გადაცემას, ჟურნალისტის თქმით, ის პოლიტიკური იქნება, თუმცა ფორმატზე და სხვა დამატებით დეტალებზე აღარ საუბრობს. (ნიუპოსტი)

## „ძალიან მალე საქართველოს მოსახლეობას შეეძლება, ევროკავშირის ქვეყნებში ვიზის გარეშე იმოგზაუროს“



ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მარინა კალიურანდი საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი საქართველო-ევროკავშირის ვიზალიბერალიზაციის საკითხზე.

– საკმაოდ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი ვიზალიბერალიზაციის თაობაზე შეთანხმების კუთხით. ვფიქრობთ, რომ კომისია ოპტიმისტურ გადაწყვეტილებას მიიღებს და იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე საქართველოს მოსახლეობას შეეძლება, ევროკავშირის ქვეყნებში ვიზის გარეშე იმოგზაუროს, – განაცხადა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მისი განცხადებით, ევროკავშირთან დაახლოების პროცესი ბევრ რეფორმას მოითხოვს, რაც ყოველდღიური, თავდაუზოგავი შრომის საგანია.

– ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ავხსნათ, განვმარტოთ ყველა ის რეფორმა, რომელიც ევროკავშირთანაა დაკავშირებული. ჩვენ გვინდა საზოგადოდ ავუხსნათ ჩვენს მოსახლეობას, რომ ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არ არის ის, რაც თავისთავად მოვა, არამედ ეს ყოველივე ნიშნავს ყოველდღიურ თავდადებულ მუშაობას. ჩვენ საკმაოდ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი ვიზალიბერალიზაციის თაობაზე შეთანხმების კუთხით. ვფიქრობთ, რომ კომისია ოპტიმისტურ გადაწყვეტილებას მიიღებს და იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე საქართველოს მოსახლეობას შეეძლება, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ვიზის გარეშე იმოგზაუროს. ეს არის ძალიან სიმბოლური და, ასე ვთქვათ, პრაქტიკული ძალისხმევა. ესტონეთის მხრიდან, ისევე როგორც ევროკავშირის მხრიდან იმედი გვაქვს, რომ შემდეგი წლის დასაწყისში ვიზალიბერალიზაციის საკითხის რეალიზაცია მოხდება, – განაცხადა მინისტრმა. (pia.ge)

## დიდი ოდენობით თანხის მითვისების საქმეზე თამარ ფხოველიშვილს და მის მეუღლეს 10 წლით პატიმრობა მიესაჯათ



წყალმომარაგების კომპანიიდან ორ-ნახევარი მილიონი ლარის მითვისების საქმეზე მოსამართლემ საბოლოო განაჩენი გამოაცხადა.

წყალმომარაგების კომპანიის მთავარ ბუღალტერ თამარ ფხოველიშვილსა და მის მეუღლეს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, მესამე პირს თამარ ნავროზაშვილს კი – 6 წელი, აქედან 2 საპატიმრო, ხოლო 4 პირობითი მიუსაჯეს.

განაჩენის გამოცხადებამდე ბრალდებულებმა და მათმა ადვოკატებმა სასამართლოში დასკვნით სიტყვა წარმოთქვეს.

ყოფილმა მთავარმა ბუღალტერმა თამარ ფხოველიშვილმა კიდევ ერთხელ დაადო ღიად ხელი თაღლითური სქემის ავტორობასა და ზეწოლაში კომპანიის მაშინდელ გენერალურ დირექტორს არჩილ ცაბუტაშვილს და მის მფარველობაში ზვიად ჯანყარაშვილი დაადანაშაულა. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — სვანეთში თოვლის კაცის ნაკვალევს მიაგნეს!

მარიკა არღვლიანი
551 81-55-88



მესტიის რაიონის სოფელ ეცერის მაცხოვრებლები უჩვეულო სანახაობის მომსწრენი გახდნენ – როგორც ამტკიცებენ, მათ ე.წ. თოვლის კაცის კვალს მიაგნეს.



ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში აღმოჩენილმა გაურკვეველი არსების ფეხის ნაკვალევის ზომამ სვანებს „ქამმერდეს“ არსებობა-არარსებობის საკითხი კვლავ გაახსენა, რადგან სიდიდით ის ჩვეულებრივი ადამიანის ფეხის ზომას ბევრად აღემატება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ქამმერდე“ სვანურიდან ითარგმნება როგორც „გარეთ მყოფი“. მსოფლიოში კი ის სხვა სახელითაა ცნობილი – თოვლის კაცი, იეტი, ბიგფუტი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.



სხვათა შორის, ეს სულაც არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სვანები მსგავს ნაკვალევს ნახულობენ. ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სვანებმა „ქამმერდეს“ ნაკვალევი კალას მონასტერთან 1956 წელს და ქლუხორის უღელტეხილზე 1973 წელს შენიშნეს. რამდენიმე დღის წინ კი ლეგენდად შემორჩენილმა „ქამმერდემ“ სვანებს თავი ისევ შეახსენა.

რამდენიმე მსგავს ნაკვალევს სვანეთის კიდევ ერთ სოფელში – ებუთშიც გადააწყდნენ. როგორც ადგილობრივები ამბობენ, დაუდგენელმა არსებამ ერთ-ერთ მაცხოვრებელს ცხენიც კი დაუფრთხო, ცხენმა კი მხედარი ჩამოაგდო, რომელიც ამტკიცებს, რომ ცხენი სწორედ „ქამმერდემ“ შეუშინა.

ბუნებრივია, ამ ამბავზე ბევრს, ალბათ, ჩაეღიმება, შეიძლება გემრიელადაც იცინოს და გამოგიტყდებით – თავადაც, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად ვუყურებთ აღმოჩენას, თუმცა სვანები ასე ნამდვილად არ ფიქრობენ, მათ სჯერათ „ქამმერდეს“ არსებობის, როგორც მთელ მსოფლიოში – თოვლის კაცის, იეტის, ბიგფუტის...

**„ალია“ სოფელ ეცერის მაცხოვრებელ გია სუზელიანს ესაუბრა, რომელმაც „ქამმერდეს“ ნაკვალევი ერთ-ერთმა პირველმა ნახა, მას სურათებიც გადაუღო და ჩვენც მოგვაწოდა:**

– ეს სურათი რამდენიმე დღის წინ გადავიღე ჩემთან, სოფელში, ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში. პირველად ბავშვი გადააწყდა და შემდეგ დაგვიძახა უფროსებს. ის, ვისაც ეკუთვნის ეს ფეხის ნაკვალევი, ეზოდან შესულა და იქვე აივანზე, ბეტონზე დაუტოვებია რამდენიმე კვალი. ისე, არ გეშინია, ამ თემაზე რომ წერ?

**— რა ვიცი, რა არის ამაში საშიში? ის მითხარით, გია, ნაკვალევი როგორ დარჩა ბეტონზე?**

– ღამე ძლიერი წვიმა მოვიდა და ფეხის ტერფის ანაბეჭდებიც ახალი დატოვებული იყო, თუმცა იქვე მყოფებმა შევამოწმეთ და ნაკვალევი ცხიმოვან ნივთიერებასაც შეიცავდა, სპეციფიკური სუნიც კი ჰქონდა. იმ ადგილზე ნაკვალევი ახლაც ამჩნევია.

**— ფოტო ვინ გადაიღო?**

– ფოტო პირადად მე გადავიღე. რამდენიმე ნაკვალევი იყო ამ სახლის აივანზე და დანარჩენი, ცოტა მოშორებით მეორე მიტოვებული სახლია და მანდაც აღმოვაჩინეთ.

**— ადგილობრივი მოსახლეობა რას ამბობს, სჯერათ „ქამმერდეს“ არსებობის?**

– ზოგს სჯერა, ზოგს – არა. უმეტესობა იმიტომ არის ჩუმად, რომ ბავშვები არ შეშინდნენ. ზოგადად, ბევრი ლეგენდა თუ ნამდვილი ამბავი არსებობს „ქამმერდეს“ შესახებ. თუმცა „ქამმერდეს“ ნაკვალევი რამდენიმე სოფელში რომ აღმოეჩინათ, ჯერ არ ყოფილა. ბევრი დღესაც ამტკიცებს, რომ „ქამმერდე“ ნამდვილად არსებობს და მეტიც – თავადაც კი უნახავს.

**— თუ დაუკავშირდით ვინმეს — მეცნიერებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ გამოეკვლიათ, რისი ან ვისი ნაკვალევი იყო?**

– არა, არავის დავკავშირებივართ, მაგრამ აუცილებელია, ეს ნაკვალევი ვინმემ გამოიკვლიოს. ერთ-ერთი ნაკვალევი დავლუქეთ, რომ შენარჩუნებულიყო. კარგი იქნება, თუ შეისწავლიან.


ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

**შპს „ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსი“**

**აცხადებს ტენდერს:**

**შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კასპის** ახალი კირქვის სამსხვრევი ხაზის მშენებლობის სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე:

1. კირქვის მიმღები ბუნკერის პანდუსი საყრდენი კედლებით
2. კირქვის სამსხვრეველას შენობა
3. ლენტური კონვეიერების MC01 (004-007)MBC საყრდენი კოშკურების ფუნდამენტები.
4. კირქვის ავარიული მიწოდების ხვიმირის პანდუსი საყრდენი კედლებით.
5. კირქვის ავარიული მიწოდების ხვიმირისა და მისი კონსტრუქციის საყრდენი ფუნდამენტები.
6. კირქვის სამსხვრეველას ელ. ქვესადგურის შენობა.
7. შიდა საქარხნო გზების ნაწილი თანდართული ნახაზის მიხედვით.

დაინტერესებულ პირებს ან კომპანიებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანისათვის შეუძლიათ მოგვამრთონ ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა 10.00-საათიდან 18.00 საათამდე, განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე: ლორთქიფანიძე № 4, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 247 47 47 (156)
+995 77 57 44 19

**ელ. ფოსტა: salome.vashakidze@heidelbergcement.ge**

**სალომე ვაშაკიძე**

წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 20 ნოემბერი.


# განათლების მინისტრის ტყუილები იუნესკოს გენერალური კონფერენციის 38-ე სესიიდან

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



პარიზში, იუნესკოს გენერალური კონფერენციის 38-ე სესია და განათლების კომისიის სხდომები გაიმართა. კონფერენციას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე დაესწრნენ. სესიაზე 6 ნოემბერს მინისტრი სანიკიძე სიტყვით გამოვიდა და სამინისტროს მიღწევებზე ისაუბრა.

**რა იცრუა მინისტრმა სანიკიძემ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას და რაში ხარჯავს უწყება რეალურად ბიუჯეტს, ნაცვლად სასწავლო ხარისხის გაუმჯობესებისა?**

**„ალიას“ პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი, დათო ფერაძე ესაუბრა:**

– „საქართველოში განათლების სისტემის რეფორმირებისას, ჩვენ ძირითადი აქცენტი გავაკეთეთ როგორც საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, ასევე, განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე...“ – აი, ამ სიცრუით დაიწყო თავისი გამოსვლა კონფერენციაზე მინისტრმა სანიკიძემ და იქვე დაამატა: „ჩვენ ერთად უნდა ჩამოვაყალიბოთ ახალი დღის წესრიგი, შევქმნათ საერთო მომავალი, სადაც არც ერთი ბავშვის ინტერესი არ დაიჩრდილება“... არადა, რეალურად, სწორედაც, რომ თითოეული ბავშვის ინტერესია შებღალული ქვეყანაში. ასევე, სანიკიძემ ისაუბრა ინვესტიციების საჭიროებაზე. რისთვის? სინამდვილეში ეს თანხა ისევ საკუთარი და თავისი დამქაშების ჯიბეების გასასქელებლად უნდა, თორემ არსებული ფინანსების გონივრულად გადანაწილების შემთხვევაში, არ გახდებოდა დამატებით ინვესტიციებზე საუბარი აუცილებელი.

**— მინისტრი ამბობს, რომ რამდენიმე მასშტაბური სახელმწიფო პროგრამისა და სკოლებისთვის კონკრეტული მომსახურების შეთავაზებით შეძლეს, 97 პროცენტამდე გაეუმჯობესებინათ სკოლებში დასწრების მაჩვენებელი და ამასთანავე, მნიშვნელოვნად შეემცირებინათ სკოლის მიტოვების რაოდენობაო — რას გულისხმობს სკოლებში დასწრების მაჩვენებლის გაუმჯობესებაში სანიკიძე?**

– ეს არის ზღაპარი! ეს მოხერხდა შაშკინის დროს, ოღონდ, როდესაც შაშკინმა სკოლები ციხეებს დაამსგავსა, ეს ამის ხარჯზე მოხერხდა, თუმცა, მაშინ დასწრების მაჩვენებლის ზრდა სულაც არ აღმოჩნდა სწავლის ხარისხის ზრდის პროპორციული, პირიქით, დამამთავრებელ კლასებში დასწრებაზე გამკაცრება ხელს უშლის მათ მომზადებას მისაღები გამოცდებისთვის.

გასაგებია, სანიკიძის მართვა მოდერნიზებული შაშკინიზმია. სანიკიძე ხომ „ნაცების“ გადმონაშთია, ჯერ პრეზიდენტს უკმევდა, შემდეგ კი, როდესაც მის სკამს საფრთხე შეექმნა, მიატოვა მარგველაშვილი და პრემიერს დაუწყო ლაქუცი. ეს ყველამ იცის, მაგრამ შაშკინის ე.წ. მიღწევებს რომ იწერს, ეს არის სასაცილო. ანუ მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებლები დადებითი კუთხითაც რომ განვიხილოთ, ეს სულაც არაა სანიკიძის მიღწევა.

სანიკიძემ ისიც თქვა, 2013 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო პროფესიული განათლების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ინსტიტუტების სრულად დაფინანსებაო, არადა ამ სფეროში რომ დარღვევებია, ამაზე სახელმწიფო აუდიტის შუალედურ დასკვნაში ნათლად იყო საუბარი და ეს ქალბატონი კი თავს იწონებს.






კიდევ კარგი, შერცხვა და პედაგოგთა დაფინანსების ზრდა რიცხვებით არ დაასახელა. თქვა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა პედაგოგთა დაფინანსებაო. არადა, ჩვენ კარგად ვიცით, რომ სინამდვილეში პედაგოგთა ხელფასების ზრდა სულაც არ ყოფილა არათუ მნიშვნელოვანი, უმნიშვნელოც კი. 2012 წელს რაც ჰქონდა პედაგოგს ხელფასი, იმის ნახევარს თუ უტოლდება დღევანდელი ანაზღაურების მსყიდველობითუნარიანობა, ხოლო მესამე კატეგორიის მასწავლებელთა ხელფასები ძლივს აღწევს 2012 წლის მაჩვენებლებს. არადა სანიკიძე, სპეციალობით ეკონომისტი ადამიანი, ციფრებში გამოხატულ სახელფასო ცვლილებას, სტაბილურ ზრდას უწოდებს.

მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა პედაგოგთა განვითარებისა და მხარდაჭერის ახალი სისტემაო – გასულ წლებთან შედარებით ნამდვილად არის ზოგადი განათლების ბიუჯეტი გაზრდილი, მაგრამ აქედან ძირითადად სწორედ სანიკიძის ბიუროკრატიული აპარატი სარგებლობს. ჩვენ რეგულარულად ვასაჯაროებთ ამ ხარჯებს, კოლოსალურ პრემიებსა და დანამატებს, რომელიც სამინისტროს მაღალჩინოსნებზე გაიცემა. ისინიც ჯიუტად აგრძელებენ ბიუჯეტის ყვლეფას და არა და არ ელევიან პრემიებს. ერთადერთი, რაც მოხდა, ისაა, რომ სანიკიძე აღარ იღებს პრემიებს. სხვა მხრივ, უცვლელია ყველაფერი. სამაგიეროდ, გაზრდილია ხარჯები სხვა მიმართულებებით და ახლა მინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი შედარებითი კვლევა ამ მხრივ.

კვლევა არის ერთი კვარტალური პერიოდის განმავლობაში ჩატარებული და შედარებულია პედაგოგისა და მოსწავლის კვარტალურ დაფინანსებასთან: ამ ხნის განმავლობაში სამინისტროს სულ შესყიდული აქვს 9 962 530,97 ლარის მომსახურება და საქონელი, ანუ თითქმის 10 მილიონი ლარის შესყიდვები აქვს განხორციელებული.

ცხადია, აქედან არის აუცილებელი შესყიდვები და მიზნობრივად განხორციელებული ხარჯები, მაგრამ ბევრი რამ ბადებს კითხვებს. მაგალითად, თუნდაც, ის, რას ნიშნავს მომსახურება საშუალო განათლების სფეროში, რომელიც სამინისტროს შეუსყიდია არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრ CSDC-გან და რომლისთვისაც სამი თვის განმავლობაში გადაუხდია 29 280 ლარი. სამინისტრო გვეუბნება, რომ ეს ინკლუზიური განათლების პროგრამას ხმარდებაო და სწორედ ამ პროგრამასთან დაკავშირებით არის ბევრი კითხვა. ამ სფეროში ბევრი რამეა გასარკვევი.

ახლა ვნახოთ, კიდევ რამ მიიქცია ყურადღება მათ შესყიდვებში. იმ დროს, როდესაც კვარტალურად პედაგოგის საშუალო ხელფასი 1050 ლარს აღწევს, ხოლო მოსწავლე კვარტალურად ერთ მოსწავლეს საშუალოდ მხოლოდ 90 ლარით აფინანსებს, სამინისტროს ერთი აპარატი სარესტორნო მომსახურებაში ხარჯავს 15 493 ლარს, ავტომანქანების შეკეთებაში, ტექმომსახურებასა და რეცხვაში – 43 928 ლარს, რაღაცების ბეჭდვაში – 59 421 ლარს, მობილურით საუბარში – 47 650 ლარს, ფურშეტში – 56 010 ლარს. ეს ყველაფერი დიაგრამებში უფრო თვალსაჩინოდ გამოიყურება. დიაგრამა მომზადებულია მათივე გავრცელებულ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით. საუბარია მესამე კვარტალზე.

**ფერაძის ნაამბობიდან გამომდინარე, აუცილებელი და საინტერესო იქნებოდა ზემოაღნიშნულ საკითხებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განმარტება, თუმცა, სამინისტრო დათო ფერაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციების კომენტირებაზე უარს ამბობს. უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა გვითხრა ასე...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ხალვაშმა არაფერი არ მისცა ზვიად ცეცხლაძეს, ისე გაიფორმა მისი ქონება და წაართვა“



იურისტი ვალერი გელბახიანი ფიქრობს, რომ „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით სამართლებრივი გადაწყვეტილებები არ არის კანონიდან გამომდინარე. იურისტის თქმით ორ ანალოგიურ საქმეში, რომელშიც ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში ფიგურირებს სასამართლო სხვადასხვაგვარად იქცევა. ვალერი გელბახიანის განმარტებით, მაშინ როდესაც გარდაცვლილი ბიზნესმენის ზვიად ცეცხლაძის ოჯახს, რომელიც ქიბარ ხალვაშს ქონების იძულებით დათმობაში ადანაშაულებს, სასამართლომ ხანდაზმულობის მოტივით საქმის წარმოებაში მიღებაზე უარი განუცხადა, მაშინ როდესაც იგივე ხანდაზმულობის ვადით განიხილა და წარმოებაში მიიღო ტელეკომპანია „რუსთვი 2“- ის საქმე.

„საოცარი დამთხვევაა, ფაქტებისა, ერთ პერიოდში ხდება ყველაფერი და ამ დროს ერთ მოთხოვნას უარს ეუბნებიან და მეორეს აკმაყოფილებენ, ორივე მოთხოვნა ხდება ერთი პირის სასარგებლოდ – სამართლებრივად ეს არის აბსურდი. სხვა მიდგომა და სხვა კრიტერიუმი გარდა იმისა, რომ აქ არის რაღაცა ჩარევები ხელისუფლების მხრიდან არ შეიძლება შეფასება მიეცეს, მეც მგონია რომ ასეა, ჯერ ერთი ქიბარ ხალვაშის და პარლამენტში უმრავლესობის წევრია და გარკვეული ზეგავლენა აქვს იმ გუნდთან მიმართებაში, სადაც ის იმყოფება. მეორე – ქიბარ ხალვაშს ამ შემთხვევაში მიტაცებული აქვს სხვისი, ძალადობის გამოყენებით, უთხრეს ცეცხლაძეს, რომ მას ქონება დაეთმო უსასყიდლოდ და მიეცა და ეჩუქებინა ამა და ამ პიროვნებისთვის. რაც შეეხება ტელევიზიასთან მიმართებაში, აქ იკვეთება რომ ფული გადახდილი იყო ხალვაშისთვის, მაგრამ როცა ხალვაშმა არაფერი არ მისცა ზვიად ცეცხლაძეს, ისე გაიფორმა მისი ქონება და წაართვა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ეს დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავს და არა მარტო სამოქალაქო საქმეს, ამაზე იხუჭება თვალი, რომ ვითომ არაფერი არ მომხდარა და ქიბარ ხალვაში არის პატიოსანი, წესირი ბიზნესმენი და თურმე წაართვეს იმ დროს ძალადობის შედეგად. ქიბარ ხალვაში ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც არის ინსტრუმენტი, იმ ძალადობის თანამონაწილეობისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი იმ წლებში, ეს აშკარაა და ორივე საქმეში იკვეთება, რომ ძალადობის შედეგად ხდება ერთი ფაქტიც და მეორეც, მაგრამ დღეს სასამართლო ერთ შემთხვევაში ეუბნება უარს ხანდაზმულობის მოტივით და მეორე შემთხვევაში არა თუ იხილავს საქმეს, არამედ იხილავს აბსოლუტურად საფუძვლებში მის სასარგებლოდ და გამოაქვს ისეთი გადაწყვტეილება, იმიტომ, რომ იქ სხვა მომენტიც არის, სამოქალაქო საქმეში სამეწარმეო კანონი იქნა გამოყენებული და ვითომ პარტნიორებს შორის იყო დავა, ასე განიხილა მოსამართლე ურთმელიძემ და საერთოდ, მართვა დააწესა ქონების. ეს ელემენტიც კი გაჩნდა სრულიად ხელოვნურად ამ საქმეში, რომელიც სამართალთან საერთოდ შეხებაშიც არაა ამ ტიპის დავებში. იმდენი რამე იკითხება ამ გადაწყვეტილებაში, მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ აშკარად გავლენა ხდება სასამართლოზე, რომ სწორედ ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები იქნას გამოტანილი. სამართლებრივი გადაწყვეტილებები არ არის კანონიდან გამოდმინარე“, – განაცხადა გელბახიანმა. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვაახ, კაცო, აბა, შემოიპარნენ რუსები, გადაღებები აწარმოეს და კაციშვილმა არაფერი იცოდა?!




უმრავლესობის წევრს ანი მიროტაძეს MTC-ის სკანდალურ სარეკლამო კლიპის გადაღებასთან დაკავშირებით კითხვები აქვს. დეპუტატი ინტერესდება, იყო თუ არა ნებადართული კლიპის გადაღება.

– მაინტერესებს, რამდენად იყო ეს ნებადართული, ჰქონდათ თუ არა რაიმე ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობა და გაიცა თუ არა ნებართვა და თუ არ გაიცა ნებართვა, რამდენად სწრაფად აპირებს საქართველოს ხელისუფლება, მოსთხოვოს ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხი. თუ ნებართვა საჭირო არ იყო, მაშინ ესეც უნდა ვიცოდეთ, – განაცხადა მიროტაძემ.

მიუხედავად იმისა, რომ MTC საქართველოში არ ოპერირებს, კლიპი თბილისშია გადაღებული, მასზე ჩანს თბილისის იუსტიციის სახლი, აღმაშენებლის გამზირი, ე.წ. შუშის ხიდი, თავისუფლების მეტრო და ვაკის პარკი. კლიპში არ არის მითითებული, რომ კადრები თბილისშია გადაღებული.

სკანდალს თბილისის მერი დავით ნარმანიაც გამოეხმაურა, რომელიც მხოლოდ მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

– ამ კლიპის გადაღებასთან დაკავშირებით, შეთანხმების საჭიროება მერიის მხრიდან არ არსებობს, – განაცხადა დავით ნარმანიამ. (ნიუპოსტი)

**გამოდის, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, საქართველოში შემოვიდეს, გადაიღოს ის, რაც გაუხარდება და... ოეეე, ნინიას ბაღია, ეს ოხერი? პარლამენტი — არა, მერია — არა, აბა, ვინ უნდა აკონტროლოს ეს ყველაფერი — გარემოვაჭრეებმა თუ ხაჭაპურის მცხობელებმა?!**



## საცხოვრებელ სახლში ორი ადამიანის ცხედარი იპოვეს — უბედური შემთხვევა კახეთში

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში საცხოვრებელ სახლში ორი ადამიანი გარდაცვლილი იპოვეს. წინასწარი ინფორმაციით, ისინი გაზის გაჟონვის შედეგად გარდაიცვალნენ. ცხედრები ნათესავებმა იპოვეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დოლარზე ქალის გამოსახულება გამოჩნდება?




დოლარზე ქალის გამოსახულება გამოჩნდება. აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ინიციატივა სააგენტო „WongDood“-მა სოციალური რეკლამის სახით წარადგინა.

ვიდეორგოლის მთავარი იდეა თანასწორ უფლებებს ეხება.

2020 წელს ამერიკის კონსტიტუციის მე-19 ცვლილებას 100 წელი უსრულდება, ანუ 100 წელია, რაც ქალებს კონსტიტუციამ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება დართო. სწორედ, ამ თარიღს უკავშირდება ახალი დოლარის გამოსვლა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გამყარდაო ლარი, ოღონდ სულ ცოტათი



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, 10 ნოემბრისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3990 ლარი გახდება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2,3998 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0008 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა გამყარდა ევროსთან მიმართებაშიც. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,5861 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2,6088 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0227 ლარი შეადგინა. (ინტერპრესნიუსი)

## „თმას არ შეგატოვებ თავზე, საზიზღარო“ — საბავშვო ბაღის ძიძას აღსაზრდელის შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ



საბავშვო ბაღის ძიძა აღსაზრდელის შეურაცხყოფის გამო სამსახურიდან დაითხოვეს. შემთხვევა ბათუმის მეექვსე საბავშვო ბაღში მოხდა. ძიძის განთავისუფლების საფუძველი ფარულად გადაღებული ვიდეომასალა გახდა.

„თმას არ შეგატოვებ თავზე, საზიზღარო. გაგიხმათ ტვინები. მოეთრიე აგერ, არ დასრიალდე და არ გადამრიო... ცხვირ-პირი უნდა ამოგინაყოს კაცმა“, – სწორედ ამ სიტყვებით მიმართავს ძიძა 4 წლის აღსაზრდელს. ამავე ბაღის აღმზრდელმა ნათია ცინცაძემ მუქარის ვიდეო პარასკევს გადაიღო. მისი მტკიცებით, ბავშვზე საჩაზანოში ძალადობს. ვიდეოს გასაჯაროება ნათიას ბავშვის მშობელმა აუკრძალა, თუმცა მან ვიდეო დედაქალაქის მერს აჩვენა.

ვიდეოს გასაჯაროების შემდეგ ბაღის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და ცინცაძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. გურანდა გობაძე პედაგოგს სიკრედიტაციაში ადანაშაულებს. მიზეზად იმ ფაქტს ასახელებს, რომ რამდენიმე თვის წინ ბაღის დირექტორის თანამდებობიდან ნათია ცინცაძის დედა განთავისუფლდა. ინციდენტში მონაწილე ძიძას უფლებამოსილება შეუჩერეს. საქმეში ბაღების გაერთიანებასთან ერთად ქალაქის მერია და შინაგან საქმეთა სამინისტროც ჩაერთო. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სირცხვილი იმ ქვეყანას, სადაც ლევან თედიაშვილი შიმშილობს!“




„პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივნის ირმა ინაშვილის განცხადებით, „რესპუბლიკური პარტიის“ ქმედებები და ბოლოს, საგარეჯოს რაიონში მომხდარი გაყალბება დასავლურ პოლიტიკას არ ემსახურება. როგორც ირმა ინაშვილმა გადაცემაში „2030“-ში განაცხადა, „პატრიოტთა ალიანსი“ უკან დახევასა და დანებებას არ აპირებს, რადგან ყველასთვის ცხადია, რა მოხდა საგარეჯოს რაიონში გამართულ შუალედურ არჩევნებზე.

– დავით უსუფაშვილის სიტყვები და საქმე ერთმანეთს შორდება. საერთოდ, „რესპუბლიკური პარტიის“ სიტყვები და საქმეები ერთმანეთს შორდება. აქ არის განსხვავება ჩვენსა და მათ მსოფლმხედველობას შორის. ისინი არ არიან დასავლური ძალა. მე მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი და დასავლურ ძალაში ნამდვილად არ გულისხმობენ იმ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც არჩევნებს აყალბებენ. იმ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც თანამდებობას ბოროტად იყენებენ, იმ თავდაცვის მინისტრებს, რომლებიც გახარებულები მერე შტაბში სხედან, ოქმებს ითვლიან და აჯამებენ. სამარცხვინო იყო ეს საქციელი. თავდაცვის მინისტრს, რომლის ქვეყანასაც მიწების 22 პროცენტი აქვს დაკარგული, არ უნდა ჰქონდეს დრო, რომ საგარეჯოში იჯდეს და ოქმების შეჯამება აწარმოოს და მერე, ეს ბედნიერი სურათები გამოამზეუროს სოციალურ ქსელში. ამიტომ ვამბობ, არ იქნება უკან დახევა. ძალიან მინდა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს კარგად გააცნობიეროს.

საქართველოს დიდ ქალაქებში იწყება შიმშილობის პერმანენტული აქციები. მნიშვნელოვანია, რომ შიმშილობს არა მარტო ირმა ინაშვილი, არამედ ადა მარშანია, ემზარ კვიციანი, ლევან თედიაშვილი. სირცხვილი იმ ქვეყანას, სადაც ლევან თედიაშვილი შიმშილობს! – განაცხადა ინაშვილმა. (რეპორტიორი)

## იმედია, ამით მაინც დაადასტურებს უკრაინა, რომ საქართველოს ანგარიში უნდა გაუწიოს!

უკრაინის პოლიცია იმ მძღოლებს დააჯარიმებს, რომელთა ავტომობილებსაც ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის სანომრე ნიშანი ექნებათ.

უკრაინულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, გამომდინარე იქიდან, რომ ოფიციალური კიევი არ ცნობს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და ამ რეგიონების სხვა რომელიმე ქვეყნის შემადგენლობაში ყოფნას, საქართველოს გარდა, უკრაინის ეროვნულმა პოლიციამ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

– ყველა ავტომობილი, რომელსაც ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ნომერი ექნება, უნომროდ ჩაითვლება. მსგავსი შემთხვევების დროს უკრაინის პოლიცია იმოქმედებს კანონის შესაბამისად, – ნათქვამია უკრაინის პოლიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უკრაინაში მოქმედი კანონის თანახმად, უნომრო ავტომობილით გადაადგილება ქვეყნის ტერიტორიაზე ჯარიმით ისჯება.

უკრაინაში ეროვნული პოლიცია, რომელიც უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული რეფორმის შედეგად შეიქმნა, ოფიციალურად გუშინ ამოქმედდა. ეროვნულ პოლიციას საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრი ხატია დეკანოიძე უხელმძღვანელებს. (bpn.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# დატოვებს თუ არა „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციას, რა შედეგი მოჰყვება და რას მოუტანს ეს ნაბიჯი „ქართულ ოცნებას“ და თავად „რესპუბლიკელებს“?

ინტერნეტგაზეთ „მეტრონომთან“ საუბრისას „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ დატოვებს თუ არა პარტია კოალიციას, ეს დეკემბერში, პარტიის ყრილობის შემდეგ გახდება ცნობილი და დაამატა, – ვფიქრობთ, კოალიციაში სერიოზული ცვლილებებია საჭიროო.

**დატოვებენ თუ არა „რესპუბლიკელები“ კოალიციას? რას მოუტანს მათ ეს ნაბიჯი? ვისთან შეიძლება გაერთიანდნენ, თუ დამოუკიდებლად განაგრძობენ პოლიტიკურ მოღვაწეობას?**

**ამ საკითხების ირგვლივ, „ალიასთან“ თავის მოსაზრებები პოლიტოლოგმა ვახტანგ ძაბირაძემ დააფიქსირა:**

**— დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გასვლა-არგასვლის შესახებ დეკემბერში დაგეგმილ პარტიის ყრილობაზე გახდება ცნობილი. „ალია“ დიდი ხანია წერს, რომ კოალიციაში საქმე არც ისე კარგადაა. თქვენი შეფასებით, რა შედეგი მოჰყვება და რას მოუტანს ეს ნაბიჯი კოალიციას და თავად „რესპუბლიკელებს“?**

– მე არ მინახავს ზურაბიშვილის ეგ განცხადება და თქვენს ნათქვამს ვენდობი. ბუნებრივია, ყრილობაზე, ალბათ, იქნება მსჯელობა იმაზე, უნდა დარჩეს თუ არა პარტია კოალიციაში, ეს მათი გადაწყვეტილებაა. თუმცა რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, აქ ძირითადი მაინც წამყვანი ძალა „ქართული ოცნებაა“ და მათზე იქნება დამოკიდებული, უნდათ თუ არა კოალიციის შენარჩუნება, მიდიან თუ არა კოალიციის დაშლაზე და ა.შ. ჩემი შეფასებით, დღევანდელ სიტუაციაში კოალიცია უნდა შენარჩუნდეს. მოდით, ვთქვათ ღიად: ჩემი გადმოსახედიდან, „ქართულ ოცნებას“ საკმაოდ რთული პერიოდი აქვს, არჩევნებამდე დარჩა ძალიან ცოტა დრო იმისთვის, რომ რაღაც რადიკალური ნაბიჯები გადაიდგას. თავისთავად, „რესპუბლიკელები“ შიდა ურთიერთობებს უკეთ იცნობენ, მაგრამ მე, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენელი, არ ვურჩევდი მათ კოალიციის დატოვებას. სხვა საკითხია, რას გადაწყვეტს, ზოგადად, კოალიცია. რთული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, არა მგონია, მთავრობამ რაიმე ისეთი მძიმე ნაბიჯი გადადგას, რომ კოალიციის წევრები იძულებული გახადოს, კოალიცია დატოვონ.

**— პოლიტიკური ნაბიჯების კუთხით და პოლიტიკური თვალსაზრისით, შეიძლება კოალიციას არ აწყობდეს „რესპუბლიკური პარტიის“ კოალიციიდან გასვლა, მაგრამ ხალხის უმეტესი ნაწილის დამოკიდებულება „რესპუბლიკელების“ მიმართ ძალიან უარყოფითია. ეს ის ხალხია, რომელმაც „ოცნების“ კოალიცია ხელისუფლებაში მოიყვანა. ერთ-ერთ საიტზე გავრცელებული აუდიოჩანაწერის სტენოგრამის მიხედვით, სააკაშვილი ამბობს, თინა ხიდაშელს ვესაუბრე და დახმარება მთხოვაო. მანამდეც იყო და ახლაც არის მოსახლეობაში იმის განცდა, რომ „რესპუბლიკელები“ „ნაციონალებთან“ ასოცირდებიან. ამას დავუმატოთ საგარეჯოში შუალედური არჩევნების ჩატარების ირგვლივ არსებული სიტუაცია... ერთი სიტყვით, „რესპუბლიკელებს“ თავიანთ ქმედებებში ბევრი ისეთი ხარვეზი აქვთ, რაც ხალხს არ მოსწონს. ამ ყველაფრის ფონზე, აქეთ „რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი ტოვებს ღიად საკითხს — დარჩებიან თუ არა ისინი კოალიციაში. არ სჯობია, ხალხის აზრი გაითვალისწინოს „ოცნებამ“ და „რესპუბლიკელებთან“ პოლიტიკური ურთიერთობა გაწყვიტოს?**

– არა მგონია, ეს შეფასებები მთლად 100-პროცენტიანი იყოს. მოდით, ასე ვთქვათ: რა აჩვენა საგარეჯოს არჩევნებმა? აჩვენა, რომ სადმე კანონდარღვევები მოხდა? რა ფაქტები არსებობს? მე არ ვყოფილვარ საგარეჯოში, მაგრამ ინაშვილის გამოსვლებს ვუსმინე და საგარეჯოში არჩევნებზე მინისტრების ყოფნა კანონსაწინააღმდეგო არ არის. არც ხიდაშელის ყოფნა იყო კანონსაწინააღმდეგო და არც გიგლა აგულაშვილის.

**— რა კანონდარღვევა გინდათ მეტი, როცა გაილახნენ ირმა ინაშვილის მხარდამჭერები, საუბარია გაყალბებაზე. ან სად გინახავთ, მინისტრები ხმების დათვლაში მონაწილეობდნენ? და ისიც არ არის ფაქტი, რომ მოსახლეობაში „რესპუბლიკური პარტია“ „ნაციონალებთან“ ასოცირდება?**

– ერთი წუთით, რა... რატომ ასოცირდება? მაშინ გავიხსენოთ: „რესპუბლიკურმა პარტიამ“ 2004 წელს დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“, როცა ის ზენიტში იყო. ასე მარტივად პლუს-მინუსების დასმა ცოტა რთულია.

**— მე ვამბობ იმას, რა განწყობაც ხალხშია „რესპუბლიკელების“ მიმართ.**

– ჰოდა, მოდით, ვნახოთ, ასეა? საკითხებად დავყოთ: აგერ იყო საგარეჯოს არჩევნები. ის 500 ხმაც რომ გამოაკლო, რომელი 500 ხმაც მეცამეტე უბანში სამხედრო ნაწილით შევიდა, თუმცა ესეც კანონიერია, – მაინც იგებდა „რესპუბლიკური პარტიის“ კანდიდატი. შემდეგ: ადგილობრივ არჩევნებზე ყოველთვის ხალხის მცირე რაოდენობაა; შემდეგ: ვინც კი აქტიურად ვერ იტანს „ქართულ ოცნებას“ და თუნდაც, „რესპუბლიკელებს“, მათ ხმა მისცეს ირმა ინაშვილს. ძირითადი მასა, რა თქმა უნდა, ნეიტრალური იყო. რომ ყოფილიყო საპარლამენტო არჩევნები, ხიდაშელმა რა ხმებიც აიღო, იმას კიდევ დაემატებოდა ცოტა ხმა, ხოლო ის ხმები, რაც ინაშვილმა მიიღო, სხვადასხვა პარტიების კანდიდატებზე გადანაწილდებოდა.

**— კი, მაგრამ აქ მხოლოდ არჩევნებზე ხომ არ არის საუბარი? თანაც იგებდა თუ არ იგებდა თამარ ხიდაშელი, ეს „სამხედრო უბანი“ ხომ საარჩევნოდ დაემატა?**

– ერთი წუთით, რა... დამამთავრებინეთ. „რესპუბლიკელების“ მიმართ შესაძლოა, იყოს გაღიზიანება, მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მათ კოალიცია დატოვონ, თუ მარტო დარჩებიან, რა თქმა უნდა, ისინი ბარიერს ვერ გადალახავენ, ამაზე არ არის საუბარი, მაგრამ მისაღები იქნებიან ხელისუფლების ნებისმიერი ოპოზიციური ძალისთვის, „პატრიოტთა ალიანსისთვისაც“ კი...

**— რა გაძლევთ მაგის თქმის საფუძველს, რომ „რესპუბლიკელები“ შეიძლება „პატრიოტთა ალიანსისთვის“ მისაღები იყვნენ იმ დროს, როდესაც „პატრიოტთა ალიანსი“ ამხელა საპროტესტო აქციებს მართავს სწორედ „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ?**

– ხო, მაგრამ ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ძალიან კარგად ვიცნობ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს. ამ ბოლო 25 წლის განმავლობაში ყოველთვის იყო პერიპრობაციები და ყოველთვის ისეთი დაჯგუფებები კეთდებოდა, რომელთა შექმნაც თითქოს წარმოუდგენელი იყო. თუნდაც კოალიცია „ქართული ოცნება“ ავიღოთ. თვითონ „რესპუბლიკელები“ რაზე წავლენ, მე ამაზე არ ვლაპარაკობ. არ მგონია, რომ 2012 წელს, როდესაც კოალიციის ფორმირება ხდებოდა, ივანიშვილი ძალიან კარგად იცნობდა „რესპუბლიკელებს“, ან უყვარდა ეს პარტია, თუმცა ეს პოლიტიკაა და ყველა გამოდის პრაგმატული მოსაზრებიდან. ამ პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „რესპუბლიკელები“ მეორე ნომრად თამაშობენ და ეს ყველასთვის მისაღებია.

**— გინდათ თქვათ, რომ დღევანდელ პოლიტიკაში „რესპუბლიკური პარტია“ მეორე ნომერია?!**

– კოალიციაშია მეორე ნომერი და ხო, ყველგან, რაც აქამდე იყო...

**— თუმცა არ გვაქვს დავიწყებული, რომ კოალიციაში შესვლამდე „რესპუბლიკურ პარტიას“ ძალიან დაბალი რეიტინგი ჰქონდა და ის, რომ დღეს ეს პარტია ხელისუფლებაშია, ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა. მართალი ბრძანდებით, „რესპუბლიკელებმა“ რომ კოალიცია დატოვონ, მათ ნამდვილად არ ექნებათ მაღალი რეიტინგი. დავუშვათ, მათ დატოვეს კოალიცია, თქვენი ვარაუდით, ვისთან შეიძლება გაერთიანდნენ, ან შეიძლება, რომ მათ ცალკე, დამოუკიდებლად გააგრძელონ მოღვაწეობა?**

– მე არ ვიცი, ვისთან შეიძლება მათ გადაწყვიტონ გაერთიანება, მე გეუბნებით დანარჩენი კოალიციის პოზიციებზე. ნებისმიერი ფორმის კოალიციისთვის სასურველი იქნება „რესპუბლიკელების“ მათთან ყოფნა.

**— რატომ იქნება სასურველი? მათ ხომ დაბალი რეიტინგი აქვთ? ხალხში დიდი სიყვარულით არ სარგებლობენ და რა აქვთ ასეთი დადებითი?**

– არა, არა, პოლიტიკა მრავალკომპონენტიანია. მოდით, მაშინ დავაკონკრეტოთ: თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა ცდილობს, გახდეს ქვეყნის მმართველი, როგორი ძალაც არ უნდა იყო ეს, მათთვის „რესპუბლიკელები“ მისაღებია, თუნდაც საპარლამენტო საქმიანობის გამო, თუნდაც დასავლეთთან ურთიერთობის გამო... ბევრი პლუსი აქვთ. ბიძინა ივანიშვილმაც თავის დროზე პრაგმატულად და სწორად გათვალა, რომ კოალიციაში შეიყვანა და ასევე, პრაგმატულად გათვალა თავის დროზე „ნაციონალურმა მოძრაობამაც“.

**— ძირითად თემას ავცდით და ამიტომ, ბოლო კითხვა მექნება: დავუშვათ, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ დეკემბრის ყრილობაზე განაცხადა (სწორედ ეს ინტრიგა დატოვა დავით ზურაბიშვილმა თავის განცხადებაში), რომ ტოვებს კოალიციას, როგორ ვარაუდობთ, ვინ შეიძლება დატოვოს კოალიცია მათთან ერთად?**

– მაპატიეთ, ამაზე ძალიან ცუდი სიტყვები მახსენდება და არ მინდა ვთქვა, რადგან ეს იქნება პოლიტიკური სიბეცე, გნებავთ „რესპუბლიკური პარტიის“, გნებავთ კოალიციაში შემავალი სხვა ნებისმიერი პოლიტიკური სუბიექტის მხრიდან. კოალიციას დღეს ჰაერივით სჭირდება ერთმანეთი, ამიტომ მაგას ვერც ვივარაუდებ და არც მგონია, რომ ეგ მოხდეს. „ქართულმა ოცნებამაც“ რომ დატოვოს კოალიცია, მისი მხრიდანაც დიდი შეცდომა იქნება ეს. ივანიშვილს თავისი ლეგენდით, პოლიტიკური მითით, ერთი წელი ძლივს ეყო „ნაციონალური მოძრაობის“ დასამარცხებლად და ახლა კოალიციაში შემავალ რომელ სუბიექტს აქვს ასეთი შარმი, რომ ამხელა შედეგებს მიაღწიოს? მე ვფიქრობ, არც ერთს.





ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ადვოკატი გიორგი მდინარაძე ფიზიკური შეურაცხყოფის დეტალებს იხსენებს



ნაცემი ადვოკატი გიორგი მდინარაძე სამართალდამცველების მიერ მისი შეურაცხყოფის დეტალებს იხსენებს. გიორგი მდინარაძის ინფორმაციით, მას ხელბორკილები დაადეს და ისე სცემდნენ.

– მე შევედი მათთან და ვუთხარი, რომ ჩემმა კლიენტმა, არასრულწლოვანმა დუმილი აირჩია. ამის შემდეგ წავედით გამომძიებელთან დაკითხვის დასაწყებად. ამასობაში ეს პირი მოვიდა და დამიწყო თავის დარტყმა და უნდოდა, პროვოკაციაზე წავსულიყავი. მე კარგად ვიცნობ პოლიციელებს და თავი მაქსიმალურად შევიკავე, რადგან შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო ჩემს წინააღმდეგ. ჩემი მხრიდან არ ყოფილა სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი. მიუხედავად ჩემი მოწოდებისა, დაწყნარებულიყო, მან ხელი დამარტყა. შემდეგ გასცა ბრძანება ჩემი დაკავების და ხელბორკილები დამადეს. მცემდნენ ხან თავით, ხან ხელს მირტყამდნენ, მხოლოდ მარჯვენა მხრიდან, – განაცხადა გიორგი მდინარაძემ.

მისივე თქმით, იმ პირის სახელსა და გვარს, ვინც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ვერ დაასახელებს, რადგანაც პროკურატურაში არის ძიება დაწყებული, თუმცა აცხადებს, რომ მას ინციდენტამდე აღნიშნულ პირთან ნაცნობობა არ აკავშირებდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აშშ აღმოსავლეთ ევროპაში 1200 ერთეული სამხედრო ტექნიკის განლაგებას გეგმავს



აშშ აღმოსავლეთ ევროპაში 1200 ერთეულ მძიმე სამხედრო ტექნიკას გაგზავნის. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ევროპაში აშშ-ის ძალების სარდალმა, გენერალმა ბენ ჰოტჯესმა, რომელიც ვიზიტით ვარშავაში იმყოფება.

მისი ინფორმაციით, 600 ერთეული ტექნიკა პოლონეთის ბაზებზე განთავსდება, დანარჩენი ნაწილი – ბალტიის ქვეყნებში, ასევე რუმინეთსა და უნგრეთში.

გენერლის განცხადებით, 1200 ერთეულ ტექნიკაში შედის 240 ტანკი, ასევე საბრძოლო მანქანები ქვეითებისთვის და საარტილერიო დანადგარები.

8 ოქტომბერს ბრიუსელში პოლონეთმა და აშშ-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც განისაზღვრება ამერიკული სამხედრო ტექნიკის პოლონეთში განთავსება. (ინტერპრესნიუსი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



## დემურ გიორხელიძე:

# „სიტუაცია ზღვარს არის მისული“



**„რა დონემდე შეუძლია ხალხს თმენა და სიტუაცია როდის შეიძლება აფეთქდეს“**



**„სახელმწიფო სამსახურში ყოფნა ყველაზე საუკეთესო ბიზნესი არ უნდა იყოს. ჩვენ გვჭირდება სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანების კეთილდღეობის ზრდას და მათს ღირსეულ გარემოში ცხოვრებას. და არა საკუთარ თანამდებობებზე ღორებივით მიმსკდარი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც მუცლის ამოყორვასა და საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე არიან გადასულები! სწორედ ამიტომ არიან ადამიანები გაბრაზებულები და თუკი ქუჩაში გამოვლენ, ეს მოხდება იმის გამო, რომ უსამართლობას ხედავენ“**

ქვეყანაში მდგომარეობა უკიდურესად გართულებულია და თუ ვინმე ორგანიზებას გაუკეთებს, ქუჩის აქციებს მივიღებთ – ამ განცხადებას ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე აკეთებს. რთულია, არ დაეთანხმო – ქვეყანა წინ წასვლის ნაცვლად, უკან-უკან მიდის და ხალხის გასაჭირი ხელისუფლებას საერთოდ არ აინტერესებს.

**გამოვა თუ არა ხალხი ქუჩაში და რა პოლიტიკურ პროცესებთან გვაქვს საქმე?**

**„ალიას“ დემურ გიორხელიძე ესაუბრა:**

**— თქვენ განაცხადეთ, თუ ვინმე ორგანიზებას გაუკეთებს, ჩვენ მივიღებთ ქუჩის აქციებსო. გამოვა კი უკმაყოფილო ხალხი ქუჩაში? რამდენჯერაც გამოვიდა, ამას არც ერთხელ მოსახლეობისთვის სასარგებლო შედეგი არ მოუტანია, ახლაც, ისევ რომელიღაცა პარტია იხეირებს...**

– კარგად ორგანიზების შემთხვევაში, ცხადია, ხალხი პროტესტის ნიშნად, გარეთ გამოვა, რადგან უკიდურეს მდგომარეობაშია და სხვა გზა მას, უბრალოდ, არ აქვს. მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში აშკარად ჩანს, რომ იმ პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც წლებია, ფიგურირებენ და ხან ოპოზიციაში არიან, ხან ხელისუფლებაში – ხალხს ნდობა აღარ აქვს. ამიტომ ასეთი პოლიტიკური პარტიები ხალხს ქუჩაში ვერ გამოიყვანენ, ეს აშკარაა. ისიც აშკარაა, რომ ქუჩაში გამოსვლა დღეს პრობლემის გადაწყვეტა არ არის, რადგან მატერიალური სიდუხჭირის პირობებში, ტოტალური უმუშევრობის პირობებში, ეს მაინც არ არის გამოსავალი, რადგან კარგად ორგანიზებული პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია ამ ხალხის განწყობაზე სწორად იმოქმედოს, არ არსებობს. განწყობებიც ქაოსურია, ნუ დავმალავთ ამას, ხალხს მოლოდინები გაუცრუვდა, მაგრამ ვიღაცას ეძებს, ვისაც შეიძლება მიენდოს. ამ დროს არ უნდათ მარტივი რაღაცის გაგება – როცა გიჭირს, შენ გვერდით მდგომი ადამიანისკენ უნდა გაიხედო, დაელაპარაკო, შეკრიბო განწყობები, რაც შემდეგ ყველას ათქმევინებს – ჩვენ გვინდა ცოტა უკეთესი პირობები და მოდი, მოვძებნოთ ის ხალხი, ვისაც ამ პირობების უზრუნველყოფა შეუძლია. ხალხს რომ ხელისუფლების ნდობა არ აქვს, ეს არის იმ მოქმედი პოლიტიკური პარტიების „დამსახურება“, რომლებმაც აბსოლუტურად გაუცრუეს მას იმედები მაშინ, როდესაც ადამიანებმა ყველაფერი გაიღეს და მაქსიმალურად ენდნენ. ჩვენმა მოსახლეობამ, ქართველმა ხალხმა წინა ხელისუფლებასაც სრული ნდობა გამოუცხადა. სააკაშვილის ხელისუფლების, ფაქტობრივად, ყველაზე დიდ დანაშაულად მიმაჩნია ის, რომ მათ ქვეყნის მოდერნიზების ფანტასტიკური შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან და ეს შესაძლებლობა უბედურებას მოხმარდა, თვითონაც თავი დაიღუპეს და ქვეყანაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდეს. 2012 წელს ხალხმა თავისი აგრესიული განწყობები ნდობაში გადაზარდა, რომელიც მას, უბრალოდ, გაუცუდდა. ახლა, ბუნებრივია, ხალხი გაღიზიანებულია და აშკარად მიდის თვითორგანიზაციის პროცესი და შედეგები დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად იქნება.

**— ამბობთ, ისეთი ძალა არ არსებობს, ვისაც ხალხი ენდობაო და ვინ უნდა დაუძახოს, რომ ქუჩაში გამოვიდეს?**

– საქართველოს ასიათასობით მოქალაქე, რომელსაც თავისთავად, უკეთესი მომავალი უნდა, ძალიან გონიერია, უბრალოდ, თამაშის წესებში კარგად არ იყო გარკვეული. ახლა უკვე ხვდება, რომ საჭიროა დამოუკიდებელი მოქმედებები, რაც პირველ რიგში გულისხმობს, ნახოს თანამოაზრე და შეთანხმებას მიაღწიოს, როგორი მომავალი გვინდა. სხვა გზას მე ვერ ვხედავ, თორემ კიდევ ვიღაც თვალებგადმოკარკლული იდიოტი გაჩნდება, რომელიც ხელის ქნევით ითამაშებს ხალხის გაჭირვებაზე. ჩვენ ყველა ეს გზა უკვე ამოვწურეთ, გავიარეთ, რჩება ერთადერთი – ადამიანების გონიერება და მწამსი, ეს არსებობს კიდეც. ამ ყველაფერს სხვანაირი ორგანიზება სჭირდება და პირველ რიგში, ხალხის ინიციატივა უნდა იყოს, შეცვალოს თავისი მომავალი და აუცილებლად შეცვლის კიდეც, რადგან ხალხის ნება არის შეუვალი. პროტესტის თვითორგანიზების პროცესში შემდეგ უკვე თავისთავად, ბუნებრივად გამოჩნდება, ვინ იქნება სამოქალაქო თუ პოლიტიკური ლიდერი, ამას ორგანიზებული ხალხი ელემენტარულად გაუკეთებს იდენტიფიცირებას. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ხელისუფლებამ თავისი საქმიანობით თვითონ შეუქმნა თავის თავს პრობლემები, ამიტომ ხალხი მას პრობლემებს ვეღარ შეუქმნის. თუკი საზოგადოება რაიმე აქტივობას გამოაჩენს, გამოაჩენს მხოლოდ იმიტომ, რომ სიტუაცია ზღვარს არის მისული. სამუშაო ადგილები არ არის და არ იქნება, ეს ადამიანები უკვე ვეღარ დასაქმდებიან, შემოსავლები როგორც არ აქვთ, ისევე არ ექნებათ. რა დონემდე შეუძლია ხალხს თმენა და სიტუაცია როდის შეიძლება აფეთქდეს, ამის პროგნოზირება არავის შეუძლია. დღეს ამის საფრთხე არ არის, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ხელისუფლებას არ აქვს მშვიდად ყოფნის არც უფლება და არც საბაბი, რომ ეს ხალხი მასობრივი პროტესტის ორგანიზებას ვერ გააკეთებს. ისე გააკეთებს თვითორგანიზებას, როგორც ხვალ დილა გათენდება!

**— გამოვიდა ხალხი ქუჩაში, რა მოთხოვნები უნდა წამოაყენოს ისეთი, რომ ხელისუფლება შეანჯღრიოს და საქმის კეთება აიძულოს?**

– ნორმალურ ადამიანს სამართალზე დაყრდნობილი ხელისუფლება სჭირდება. ადამიანს სჭირდება სამართალი საკუთარ ქვეყანაში, სჭირდება სამუშაო ადგილი, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები კანონის ფარგლებში ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და სახელმწიფო სამსახურში ყოფნა ყველაზე საუკეთესო ბიზნესი არ უნდა იყოს. ჩვენ გვჭირდება სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანების კეთილდღეობის ზრდას და მათს ღირსეულ გარემოში ცხოვრებას. და არა საკუთარ თანამდებობებზე ღორებივით მიმსკდარი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც მუცლის ამოყორვასა და საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე არიან გადასულები! სწორედ ამიტომ არიან ადამიანები გაბრაზებულები და თუკი ქუჩაში გამოვლენ, ეს მოხდება იმის გამო, რომ უსამართლობას ხედავენ. ქართული ბუნება ვინც კარგად იცის, იმან ისიც იცის, რომ ქართველ კაცს ქუჩაში უსამართლობა ერეკება, გაჭირვებას ითმენს. რაღა უნდა მოითმინოს ხალხმა მეტი, როცა ქვეყანაში მილიონი ღარიბია და 440 ათასი უკიდურესად ღარიბი? საქართველოში მცხოვრებ ხალხს მოთმენის უნარი რომ არ ჰქონდეს, ფიწლებით შეიარაღებული უნდა დარბოდეს ქვეყანაში. არ დარბის და იცით, რატომ? მისი საქციელი უზარმაზარ კულტურასა და შინაგან წესიერებაზეა აგებული. სწორედ ამას იყენებენ ბოროტად და სანამ უსამართლობისგან თავში არ აუვარდება ადამიანს გაბრაზება, მანამდე ითმენს ყველაფერს. დააკვირდით, რა დღეშია დღეს საქართველოს მოსახლეობა და დააკვირდით, რამდენად კმაყოფილია ხელისუფლება, რომ თურმე, ყველაფერი გააკეთეს. ბუნებრივია, ესეც უსამართლობის გამომჟღავნებაა.

გადავხედოთ ბოლო 11 წლის მოვლენებს: პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ და ახლაც არიან, ასიათასობით ადამიანი გაყიდეს იმის იმედით, რომ დაუსჯელები დარჩებოდნენ. ვიღაც წავიდა ამ პოლიტიკური ჯგუფებიდან და ძალიან კარგი ქნა, ვიღაც დარჩა და კვლავ უსინდისოდ აგრძელებს პოლიტიკურ მოღვაწეობას. საკუთარი ხალხის მოტყუება დასავლურ სამყაროში ჯერ არავის შერჩენია, საქართველოში ეს შერჩათ, ამიტომ ბოლო 20 წლის განმავლობაში, მატყუარა პოლიტიკოსების ხელში აღმოჩნდა პოლიტიკური სივრცე, ეს არის ერთი და იგივე ხალხი, რომელიც სხვადასხვა სახელით ევლინება ხელისუფლებებში ადამიანებს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პროდუქტები, რომელთა ყიდვისას სიფრთხილე გმართებთ და მარტივი ხერხები, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს

ყველასთვის ცნობილია, რომ სოფლის პროდუქტები უფრო ჯანსაღი, სუფთა და გემრიელია, თუმცა, ალბათ, ყველას გვქონია შემთხვევა, როდესაც სწორედ სოფლის ნობათის ყიდვისას აღმოგვიჩენია, რომ გამყიდველი, ნებით თუ უნებლიეთ, უხარისხო ან ფალსიფიცირებულ პროდუქტს გვაძლევს, მომხმარებელმა კი, თუ კარგად არ ერკვევა ამ საკითხში, შეიძლება ძველი ან გაფუჭებული პროდუქტი იყიდოს. იმის გასარკვევად, სოფლის რომელი პროდუქტების ყიდვისას უნდა ვიყოთ ფრთხილად, მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე მადონა კოიძე საუბრობს:

– მომხმარებელმა უნდა იცოდეს პროდუქტის შენახვის პირობები, ანუ რა პირობებში უნდა ინახებოდეს პროდუქტები. მომხმარებელმა პროდუქტის ყიდვისას უნდა ნახოს მარკირება. მარკეტის პროდუქტი ძირითადად მარკირებულია, აქედან გამომდინარე, მომხმარებელი დაცულია, წაიკითხოს ვადები, თან ნებისმიერ პროდუქტს შესაბამისი შენახვის პირობები სჭირდება.

**— ბაზარში ყიდვის დროს, სოფლის რომელ პროდუქტებს უნდა მივაქციოთ ყურადღება?**

– ყველაზე მთავარია ხორცი და რძის პროდუქტები. მაგალითად, ქათამი ან ხორცი შეხების დროს არის წებოვანი გარსით მოცული, ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქტი ძველია და არ უნდა ვიყიდოთ. რომელიმე პროდუქტს ცალკეულად ვერ გამოყოფ, ვინაიდან ნებისმიერ პროდუქტს თავისი სავალდებულო შენახვის პირობები აქვს, შეიძლება პროდუქტს ვადა ეწეროს, მაგრამ ვადამაც დაკარგოს არსი, თუკი პროდუქტი არასწორად არის შენახული, ის ბევრად უფრო სწრაფად ფუჭდება და ჩვენი ჯანმრთელობისთვის საშიში ხდება.



ასევე, ყურადღებით უნდა იყოს ადამიანი თევზის ყიდვის დროსაც. არსებობს მარტივი ნიშნები, რომ გავიგოთ, ნამდვილია თუ არა და ახალია თუ არა თევზი. პირველ რიგში, თვალი არ უნდა ჰქონდეს ჩავარდნილი, ლაყუჩები უნდა იყოს ვარდისფერი. როდესაც თევზს კუდით დავიჭერთ, ის არ უნდა ილუნებოდეს, ანუ მკვრივი უნდა იყოს, ფხა მარტივად არ უნდა ეცლებოდეს, მომხმარებელმა ეს ელემენტარული ხერხები თუ იცის, შეუძლია, თამამად შეიძინოს პროდუქტი ბაზარში.

**— როგორ უნდა მოვიქცეთ იმ პროდუქტის ყიდვის დროს, რომელსაც ასე, ერთი შეხედვით, ვერ გავარჩევთ კარგია თუ არა, მაგალითად, ჩურჩხელა?**

– ჩურჩხელა შეიძლება დამზადებული იყოს ყურძნის ბადაგით ან ტყემლის ან სხვა ხილის წვენით, მაგრამ აქ რამე რჩევის მიცემა ცოტა რთულია, ამ დროს მეც მიჭირს ხოლმე ნატურალური ჩურჩხელის განსხვავება ფალსიფიცირებულისგან.

მომხმარებელს თავად შეუძლია ნახოს, ჩურჩხელა არის თუ არა ზედმეტად გამხმარი ან გამშრალი და მკვრივი, რაც შეეხება რძის პროდუქტებს, აქ საქმე უფრო რთულადაა.

**— ახლა ქალაქის ქუჩებში გარევაჭრობის ბუმია, რამდენად უსაფრთხოა ქუჩაში ნაყიდი პროდუქტი?**

– როდესაც მომხმარებელი პროდუქტს ქუჩაში ყიდულობს, ეს ჩემთვისაც გაუგებარია, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ ვერ გავარკვევთ, რამდენად ახალი და ვარგისიანია პროდუქტი, არსებობს სხვა რისკი, ეს არის მძიმე მეტალები. მანქანების გამონაბოლქვის შედეგად ეს მეტალები პროდუქტზე ილექება, ეს არის ზეთოვანი მასა, მისი მარტივად გარეცხვა რთულია, ამიტომ შესაძლებელია მომხმარებელმა საკუთარი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობა დაიზიანოს. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თემურ შაშიაშვილი: ქუჩის აქციები დღეს აწყობს ყველა მოთამაშეს — გარდა საზოგადოებისა



– ხელისუფლებამ შუალედური არჩევნების ამგვარად ჩატარებით, თავად მოახდინა ქუჩის პროცესების პროვოცირება. მით უფრო, რომ საკმაოდ არასახარბიელოდ გამოიკვეთა მაღალი თანამდებობის არაერთი პირის უკადრისი საქციელი, – ნათქვამია პარტია „თეთრების" ლიდერის თემურ შაშიაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

– ქვეყანა დაღუპა ქუჩის პოლიტიკამ და ქუჩის პოლიტიკოსებმა, დღეს კვლავ გამოჩნდა მცდელობა, პრობლემების სამართლებრივი და კონსტიტუციური გზით გადაჭრის ნაცვლად, გარკვეულ პროცესებზე ზოგჯერ სამართლიანი, ზოგჯერ უსამართლო პროტესტით ქუჩაში გაირჩეს მტყუან-მართალი. აქ არ შევეხებით, თუ ვინ რა ზომით და დოზით არის მართალი.

ქუჩის აქციები დღეს აწყობს ყველა მოთამაშეს – გარდა საზოგადოებისა; „ნაცმოძრაობას" იმიტომ, რომ ამ საქმეში დიდი გამოცდილება და უცხოეთის უდიდესი მხარდაჭერა აქვს; „ქართულ ოცნებას" იმიტომ, რომ მეორეხარისხოვან საკითხებზე გადაიტანს ინფლაციითა და უმუშევრობით გაუბედურებული მოსახლეობის ყურადღებას; ოპოზიციას იმიტომ, რომ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისთვის ახლავე იწყებს ქულების დაგროვებას.

დღეს სწორედ იმ პოლიტიკური ძალების ნარჩენები და ერთგული მომსახურენი არიან ქუჩაში, ან გვევლინებიან მათ მაპროვოცირებლად, რომლებიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, სწორედ ქუჩით მოდიოდნენ ხელისუფლებაში. ქუჩის პოლიტიკოსებს ჯერ არც ერთი ქვეყნისათვის სიკეთე არ მოუტანიათ. ქვეყანა არაერთხელ დაანგრია ქუჩაში პოლიტიკის გატანამ. ქვეყანა არაერთხელ დაანგრიეს ქუჩის პოლიტიკოსებმა... ერთნი იბრძვიან სკამის შენარჩუნებისთვის, მეორენი – დაბრუნებისთვის, მესამენი – მოპოვებისთვის. სამთავე, პირადი ინტერესების წინა პლანზე წამოწევით, ამგვარად ებრძვის სახელმწიფოს სიძლიერეს, – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რიყე-ნარიყალას საბაგირო გზა 20 ნოემბრამდე დაიხურება



რიყე-ნარიყალას საბაგირო გზა 9 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე დაიხურება. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ინფორმაციით, რიყე-ნარიყალას საბაგირო გზის ნამუშევარი საათების რაოდენობის გათვალისწინებით იცვლება ძირითადი გამწევი ბაგირი. სარემონტო სამუშაოები დაიწყება 9 ნოემბერს და გაგრძელდება 20 ნოემბრამდე. სამუშაოების მიმდინარეობისას საბაგირო გზა დროებით დაიხურება.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თუ ევროპას იმის იმედი აქვს, რომ რუსეთი ნახევარ წელში გამოსწორდება, კიდევ ერთხელ ძალიან ცდება!



ევროკავშირი დეკემბერში დაგეგმილ სამიტზე რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს ნახევარი წლით გაახანგრძლივებს. ამის შესახებ გერმანული გამოცემა Handelsblatt-i საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერს. წყაროს ინფორმაციით, ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ სანქციების მოხსნის საფუძველი არ არსებობს. ევროპელი დიპლომატები აცხადებენ, რომ სასანქციო რეჟიმის შემსუბუქება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მოსკოვი მინსკის სამშვიდობო შეთანხმებებს სრულად შეასრულებს, რუსეთ-უკრაინის საზღვარზე კი საერთაშორისო კონტროლი დაწესდება.

გამოცემა „დოიჩე ველე" აღნიშნავს, რომ უკრაინის კონფლიქტის გამო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების ვადა იანვრის ბოლოს იწურება. ყირიმის გამო დაწესებული სანქციები კი, 2016 წლის 23 ივნისამდე მოქმედებს. კრემლში აცხადებენ, რომ სანქციებთან დაკავშირებით ოფიციალურ პასუხს ბრიუსელისგან ელოდებიან და მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას არ ენდობიან.

ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების პირველი პაკეტი 2014 წლის მარტში დააწესა. (bpn.ge)

## აბა, ჩამოყალიბდით, ნოდარ ბატონო, კიდევ რას უნდა მოაკლდეს და რას მიემატოს? მოვიდა უკვე 2016!



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაფინანსება 96 მილიონი ლარით გაიზრდება. შესაბამისი წინადადებით ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მინისტრთა კაბინეტს მიმართა, სადაც 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშიც წარადგინა.

– 100 მილიონი ლარით შემცირდება საგარეო დაკრედიტება და აღნიშნული თანხებიდან 96 მილიონი ლარით გაიზრდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაფინანსება, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მინისტრმა აღმასრულებელ ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, წარმოდგენილი ცვლილებები პარლამენტს მიმდინარე კვირასვე გადაუგზავნოს. ფინანსთა მინისტრის თხოვნის საპასუხოდ, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობა წარმოდგენილ პროექტს მოიწონებს, რის შემდეგაც განსახილველად საკანონმდებლო ორგანოს გადაეგზავნება. (bpn.ge)

## გიორგი უძილაური „ნაციონალებს": ნურც თქვენ იბახებთ თავს და ნურც მომღერლებს აზარალებთ!



– კარგი სიმღერები აქვს ჯგუფს „გამოუვალი მდგომარეობა". საწყენია, რომ „ნაცები" და მათი არაოფიციალური „პრესსამსახური" დაეჩვივნენ მომღერლების გამოყენებას საკუთარი უსუსურობის შესანიღბად და საჭირო „კარწინკის" შესაქმნელად, – ჟურნალისტი გიორგი უძილაური „ნაციონალებს" მიმართავს:

– ცოტა ადრე, იმავე გზაზე შეაყენეს „33ა", რომლის შემოქმედებაც ასევე მომწონს და არ მომწონს, როცა იმ ჯგუფზეც მიჩნდება ასოციაცია „ნაცებთან".

„ნაცებო" და „ნაცების" ტელეარხის ჯალათო ხელმძღვანელებო, იქნებ დაანებოთ თავი „გამოუვალ მდგომარეობას"? ახალგაზრდებს მოსწონთ მათი შემოქმედება და არა თქვენი. და როცა ბავშვები დადიან მათ კონცერტებზე, დადიან მხოლოდ სიმღერების მოსასმენად და არა თქვენთვის საჭირო მასების როლის შესასრულებლად.

ცუდად ექცევით მომღერლებსაც და მათ ფანებსაც... და იმ უცხოელებსაც, ვისთვისაც ცდილობთ „კარწინკის" შექმნას.

თქვენ ხომ მომღერლებსა და ბავშვებს იმ უცხოელების დასაბოლებლად აგროვებთ – რომ არ გამოაჩინოთ თქვენი ნულოვანი რეიტინგი. უცხოეთში არავინ დაგიკრავთ ტაშს იმისთვის, რომ ხელოვნებას ვიაგრად იყენებთ, ხოლო ბავშვებს თქვენს მხარდამჭერებად ასაღებთ. გაიგებენ და დაგტუქსავენ. საქართველოში კი... თუმცა, რას იფიქრებენ თქვენზე საქართველოში, ეს თქვენ ნაკლებად გაინტერესებთ, ან ისედაც იცით. საკუთარი გამოუვალი მდგომარეობის გამოსწორება სხვა „გამოუვალი მდგომარეობით" არ გამოვა, ნურც თქვენ იბახებთ თავს და ნურც იმ მომღერლებს აზარალებთ, კარგად მღერიან, – წერს უძილაური. (რეპორტიორი)

## სოფელ ნიგვზიანში სატვირთო მანქანა ორ ახალგაზრდას დაეჯახა — არის მსხვერპლი




ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა. როგორც ცნობილია, სატვირთო მანქანა ორ ახალგაზრდა მამაკაცს დაეჯახა. ერთ-ერთი მათგანი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი რეანიმაციულ განყოფილებაშია გადაყვანილი.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა ახალგაზრდები სიგარეტის მოსაწევად საბანკეტო დარბაზიდან გარეთ გამოვიდნენ.

მომხდარზე უკვე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# „რუსთავი 2“-ის გამო ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებები მოხდება?





**საკუთარი გავლენების შესანარჩუნებლად ისინი თვლიან, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ქართულ პოლიტიკაში უნდა დარჩეს, თან ძლიერი ფორმით და არა, მეათეხარისხოვან პარტიად, რადგან დღევანდელ ხელისუფლებაში დღეს მყოფი პოლიტიკური ძალები ვერ ახერხებენ, მიიტანონ სწორი გზავნილი დასავლეთში იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი პოლიტიკურ კურსს არ გადაუხვევენ.**

აცანცარებული „რუსთავი 2“, დაშლის პირას მყოფი კოალიცია, „რესპუბლიკური პარტიის“ გულწრფელი შანტაჟი ხელისუფლებას და „ოდესის გუბერნატორის“ შორსმიმავალი გეგმები... მოხდება თუ არა საქართველოში სისხლისმღვრელი რევოლუცია სააკაშვილის მიერ იდიოტად წოდებული უცხოელების ხელშეწყობით? მოვლენების ლოგიკა გვაფიქრებინებს, რომ მიხეილ სააკაშვილი მარტო არ არის და ის სისხლიან რევოლუციას სწორედ იმ დასავლელი მეგობრების ხელშეწყობით გეგმავს, ვინც დღეს ასე თავგამოდებით და უკვე შემაწუხებლად იცავს „რუსთავი 2“-ს და ე.წ. სიტყვის თავისუფლებას. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე კიდევ ერთხელ გამოთქვამს შეშფოთებას და მორიგ განცხადებას აკეთებს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, ჯონ კირბის თქმით, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მენეჯმენტის შეცვლის მცდელობას ღრმა პოლიტიკური შედეგი ექნება. ამ ღრმად შეშფოთებულებს მინდა ვკითხო, – სიტყვის თავისუფლებაზე ზეწოლად რომ მოინათლა „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესები და ცდილობთ, სამართლებრივი ჩარჩოებიდან გაიყვანოთ ეს საკითხი, რომელიმე თქვენგანს კითხვა არ გიჩნდებათ, წართმეული ქონების დაბრუნებისთვის ბრძოლას სიტყვის თავისუფლებაზე ზეწოლა ჰქვია?! რატომ არის მნიშვნელოვანი დასავლეთისთვის „რუსთავი 2“-ის და არა სხვა ტელეკომპანიების ბედი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ დაარბია 2007 წელს და რატომ არ ინტერესდებით ტელეკომპანია „მაესტროს“ თემით, სადაც სამართლებრივი დავა მიმდინარეობს მფლობელებს შორის. თქვენი ქმედებები გვაფიქრებინებს, რომ ზღვარს გადახვედით, ერევით ჩვენს შიდა პოლიტიკაში და ტელეკომპანია „რუსთავი 2“, ქართველი ხალხის ტელევიზია კი არა, ეს არის მიხეილ სააკაშვილის და მისი უცხოელი მეგობრების ე.წ. დემოკრატიული შუქურა. როცა ამერიკელი მეგობრები გვიანონსებენ, რომ ყველაფერი მძიმედ დასრულდება, თუკი ვინმე გაბედავს და ამ საკითხს სამართლებრივად გადაწყვეტს, მაშინ საქართველოს ნაცარტუტად აქცევენ და იქნება ის პოლიტიკა და ის ხელისუფლება, რომელსაც ჩვენი დასავლელი ე.წ. მეგობრები საჭიროდ ჩათვლიან. ეს ნიშნავს, რომ საქართველო არ არის დამოუკიდებელი ქვეყანა და ჩვენი ქვეყნის ხელში ჩასაგდებად იბრძვის ტანკებით და კალაშნიკოვებით რუსეთი, ხოლო მეორე მხრივ, შანტაჟით, ფინანსური ნაკადების გადაკეტვით, საერთაშორისო იზოლაციით, მუქარით, ორმაგი სტანდარტით გვებრძვის დასავლეთი, ანუ ყველა შემთხვევაში ჩვენ ვართ უცხო ქვეყნის მონა და განსხვავებული აზრისთვის ვისჯებით. აი, თქვენ ახდენთ სიტყვის თავისუფლებაზე ზეწოლას და თუ ძალიან გაინტერესებთ, სააკაშვილის მიერ იდიოტებად წოდებულო უცხოელებო, რას ნიშნავს სიტყვის თავისუფლების გამოხატვის შეზღუდვა, ამის შედევრები ძალიან ბევრი იყო თქვენს მიერ ხელდასმული ხელისუფლების მოღვაწეობის პერიოდში, ეს დაიწყო 2003 წელს, გიგა ბოკერიას უშუალოდ ჩარევის შედეგად საქართველოს პირველი არხიდან უკანონოდ გაათავისუფლეს ასობით თანამშრომელი, რადგან მათ სოლიდარობა არ გამოუცხადეს „ვარდების რევოლუციას“. 2004 წელს ტელეკომპანია „იბერიას“ და სტამბა „ომეგას“ შსს-ს სპეცრაზმი თავს დაესხა და დაარბია. 2007 წლის 10 აგვისტოს ღამის 3 საათზე გამომცემლობა „სამშობლოს“ რედაქციაში შევარდა შს სამინისტროს სპეცრაზმი, სასტიკად დაარბიეს 10 გაზეთის რედაქცია, ხოლო სააკაშვილის გავლენის ქვეშ მყოფმა ყველა ტელევიზიამ ეს ინფორმაცია დაბლოკა; 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის უშუალო ბრძანებით, უმოწყალოდ, უსასტიკესად, ვანდალურად დაარბიეს ტელეკომპანია „იმედი“. ამავე წელს, სოდ-ის მაშინდელი უფროსი ერეკლე კოდუა ოპოზიციური გამოცემების, მათ შორის „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ დაშლის გეგმით მოქმედებდა. გამოხატვის უფლების შეზღუდვა იყო, როდესაც „ქართუ ჯგუფსა“ და „გლობალ ტვ“-ს განბაჟების პროცედურისას გაუნადგურეს და დაუზიანეს სატელევიზიო გადამცემი და სხვა სატელევიზიო ტექნიკა, დააუყადაღეს სატელიტური თეფშები და ეს ხდებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, რამდენიმე ხნით ადრე.

რა ხდება დღეს „რუსთავი 2“-ზე?.. აი, რატომ გიწოდებთ მიხეილ სააკაშვილი იდიოტებს, პატივცემულო უცხოელო დიპლომატებო, პოლიტიკოსებო, თქვენი თვალსაწიერი ძალიან ვიწროა, თქვენი ქმედება ნიკა გვარამიამ ფარისევლობად მონათლა, რადგან უფრო ხმამაღალ ტონალობაში არ გაჰყვიროდით ამ ნაპროკურორალის დასაცავად. სწორედ ამ გვარამიას მთავარი პროკურორს მოადგილეობის დროს, თითქმის ნახევარი საქართველო ციხეში გამოამწყვდიეს. თქვენ დღეს იცავთ იმ ადამიანებს, ვინც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ახშობდა სიტყვის თავისუფლებას, კლავდა, ბინძური მეთოდებით უსწორდებოდა... სად იზღუდება დღეს „რუსთავი 2“-ის თავისუფლება?..

**ჩვენ შევეცდებით, ექსპერტ მამუკა არეშიძესთან ერთად გავარკვიოთ, რა უნდათ ჩვენგან უცხოელ დიპლომატებს, მოვა თუ არა მოქმედებაში სააკაშვილის მიერ დაანონსებული სისხლიანი რევოლუცია სწორედ იმ ადამიანების დახმარებით, ვინც დღეს სააკაშვილს უჭერს მხარს და იცავს იმ ობიექტს, საიდანაც რევოლუციაა დაანონსებული.**

– ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ სისხლისღვრისა და სამოქალაქო დაპირისპირების უკან დგას არა დასავლეთი, არამედ მიხეილ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“-ის სამეგობრო, ვინც მას მხარს უჭერს. დასავლურმა პოლიტიკურმა წრეებმა იციან, რომ შუბი ხალთაში არ დაიმალება. აქედან გამომდინარე, ეს ჯგუფი ცდილობს, გადაარჩინოს „ნაციონალური მოძრაობა“ „თავისუფალი სიტყვის“ იმიჯით. საქმეში ჩახედულმა დასავლელმა პოლიტიკოსებმა ბრწყინვალედ იციან, რომ „რუსთავი 2“ არ არის სიტყვის თავისუფლების ფლაგმანი, ეს არის პარტიული ორგანო, მაგრამ საკუთარი გავლენების შესანარჩუნებლად ისინი თვლიან, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ქართულ პოლიტიკაში უნდა დარჩეს, თან ძლიერი ფორმით და არა, მეათეხარისხოვან პარტიად, რადგან დღევანდელ ხელისუფლებაში დღეს მყოფი პოლიტიკური ძალები ვერ ახერხებენ, მიიტანონ სწორი გზავნილი დასავლეთში იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი პოლიტიკურ კურსს არ გადაუხვევენ. ერთი მხრივ, ხელისუფლება მაღალი ტრიბუნიდან საუბრობს, რომ ისინი არიან იმ ფასეულობების მიმდევარი, რაც საქართველომ გარკვეული წლების წინათ აირჩია, პარალელურად, ხდება გაუგებარი ქმედებები, რომელსაც მათ ვერ უხსნიან. მაგალითად, „გაზპრომთან“ დაკავშირებით რაც ხდება, ეს თემა დასავლელ პარტნიორებამდე მათ სწორად ვერ მიიტანეს. როგორც ჩანს, „გაზპრომის“ თემა წამოწყებულია ბანალური ფულის კეთების მიზნით და არა იმიტომ, რომ საქართველომ პოლიტიკური კურსი შეიცვალოს. „თეთრი სახლის“ ადმინისტრაციასთან და სენატთან ისე ეფექტურად მუშაობენ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები, რომ გაოცდებით. დღეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ შეილახოს ხელისუფლების იმიჯი, არ ერიდებიან არანაირ ფორმას. გაეროს ოფისის თანამშრომლები მიყვებიან, რა ინფორმაციები მიდის იქამდე, ტყუილ-მართალს ისე ურევენ, საქართველოში რომ არ გვემუშავა და არ გვცოდნოდა, რეალურად რა ხდება, დავიჯერებდითო. მოკლედ, ქვეყნის დისკრედიტაცია მიდის მასშტაბურად. გვარამიამაც კარგად იცის, რა ფორმის ტელევიზიაა „რუსთავი 2“, მაგრამ მაინც „თავისუფალ სიტყვას“ აწვებიან. როცა დასავლელ პოლიტიკოსებს ვესაუბრებით, ვეკითხებით, – გასაგებია, რომ „რუსთავი 2“-ის შევიწროება თქვენთვის აღიქმება, როგორც თავისუფალი სიტყვის შევიწროება, მაშინ გვიპასუხეთ, როგორ აღიქმება თქვენთვის კერძო საკუთრების არდაბრუნება. ამაზე პასუხი არ აქვთ. ზოგ შემთხვევაში მპასუხობენ, რომ ქონება უნდა დაბრუნდეს, მაგრამ პოლიტიკური კონიუნქტურაც ანგარიშგასაწევიაო...

**— ხელისუფლება ერთიანობის განცდას არ ტოვებს, ჩვენ მოვისმინეთ „რესპუბლიკელების“ განცხადება ხელისუფლებაზე, რომ დაუშვებელია, მოსამართლე შუაღამისას იღებდეს განჩინებას „რუსთავი 2“-ის ახალ მენეჯმენტთან დაკავშირებითო, რაზეც თეა წულუკიანმა კოლეგებს მოუწოდა, ფრთხილად იყვნენ, საზოგადოება შეცდომაში ნუ შეჰყავთ, ნუ დაძაბავენ სიტუაციას... როგორ ფიქრობთ, ადვილად ჩამოსაშლელია ხელისუფლება? რა სცენარს ვიხილავთ, როგორც კი „რუსთავი 2“-ის საკითხი დასრულდება?**

– მართლაც ორჭოფული განცხადება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა, დაახლოებით ასე გამოვიდა, რომ სასამართლო მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“, საკონსტიტუციო სასამართლო – „ნაციონალურ მოძრაობას“. ხალხმა მარტივად ასე გაიგო, ასეთი ორჭოფული განცხადებები ნამდვილად არ წაადგება საქმეს, ამას სჯობდა, საერთოდ არანაირი განცხადება არ გაკეთებულიყო. „რესპუბლიკური პარტიის“ ასეთი სვლები მოსახლეობას აღიზიანებს, მართალია, ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, ნოემბრის ბოლოს პარტიის ყრილობაზე გადავწყვეტთ, ვრჩებით თუ არა კოალიციაშიო, მაგრამ არა მგონია, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც კოალიციის დაშლაზე იქნება ორიენტირებული. შეიძლება ძალიან ბევრსაც უნდა კოალიციაში და „რესპუბლიკურ პარტიაშიც“ რომ დაიშალონ, მაგრამ ეს ხელს შეუწყობს დღევანდელი ხელისუფლების ავტორიტეტის კიდევ უფრო დაცემას საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში. რაც შეეხება არჩევნებში ცალ-ცალკე გამოსვლას, ეს ვარიანტი შესაძლებელია. არ მინდა დავასახელო პარტიები, მაგრამ გეტყვით, თუ დაინახეს, რომ ხელისუფლება არჩევნებისთვის ძალიან დასუსტდა, აუცილებლად შეიქმნება ე.წ. პროდასავლური ბლოკი, ეს ბლოკი შეეცდება, ასოცირებული იყოს პრეზიდენტთან, მაგრამ ეს ყველაფერი არის ვერსია. ამ ბლოკში არ მოვიაზრებ „ნაციონალურ მოძრაობას“, არც ალასანია და არც „რესპუბლიკური პარტია“ მათთან არ ითანამშრომლებენ პოლიტიკურ ბლოკში. ვხედავთ, „ნაცმოძრაობა“ მზარდი არ არის, მას ჰყავს გარკვეული ელექტორატი და იმის იქით ველარ მიდის. „ნაციონალურ მოძრაობას“ გამოუჩნდა ალტერნატიული ძალა და ეს გახლავთ „პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც მთავარი ოპოზიციის ნიშას დაიკავებს, ამის ნიშნები უკვე არსებობს, ჩვენ ვნახეთ „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდასაჭერ აქციაზე მისული ხალხის დიდი რაოდენობა, ნაწილი გახლავთ საპროტესტო ელექტორატი, ნაწილი ამ პარტიის მხარდამჭერი, ის ხალხი, ვინც განაწყენებულია „ქართული ოცნების“ შეუსრულებელ დაპირებებზე, ამ ძალის გვერდით დადგება. მოკლედ, თუ არ გამოჩნდება სხვა ძალა, „პატრიოტთა ალიანსი“ საბოლოოდ ჩამოყალიბდება ამ ხელისუფლების მთავარ ოპოზიციურ ძალად.

**— „რუსთავი 2“ გახდა პოლიტიკური დავის საგანი, გამორიცხავთ, რომ ამ პროცესს საკადრო ცვლილებები მოჰყვეს ხელისუფლებაში?**

– გეთანხმებით, „რუსთავი 2“ გახდა დღეს პოლიტიკური დავის საგანი, საკითხი გამოვიდა სამართლებრივი სივრციდან, რამაც გააჩინა პოლიტიკური კრიზისის ნიშნები, მაგრამ, თუ ხელისუფლებამ სწორი ნაბიჯები არ გადადგა, შეიძლება მივიღოთ სერიოზული პოლიტიკური კრიზისი. გეთანხმებით, რომ ამ ყველაფერზე დამოკიდებულია საკადრო ცვლილებები...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაციონალური მოძრაობა“ პუტინის სამსახურშია – არჩილ გამზარდია



არჩილ გამზარდია საკუთარი დაკვირვების შედეგებზე წერს. მისი თქმით, ქმედებებიდან გამომდინარე, როგორც გამოჩნდა, „ნაციონალური მოძრაობა“ პუტინის სამსახურშია:

– დეკლარირებულად ვინ რას აცხადებს, ერთი თემაა, მაგრამ შედეგების მიხედვით მსჯელობა – მეორე. შედეგები და ფაქტები კი აჩვენებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პუტინის სამსახურში უფროა, ახდენს რა საქართველოს დისკრედიტაციას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დასავლელ თუ ამერიკელ პარტნიორებთან.

ჩვენ ვხედავთ და ვიცით, რეალობა რა არის და როდესაც ვისმენთ ჩვენი პარტნიორების ისეთ განცხადებებს, რომლებიც შეცდომაში არიან შეყვანილები, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, ვინ ახდენს ამის მოდიფიცირებას, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაც საკმაოდ მარტივია, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც სიძულვილს გრძნობენ სამშობლოსა და მშობლიური ხალხის მიმართ, ნაწილი სხვა ქვეყანაში ცვლის მოქალაქეობას უფრო სარფიანი წინადადების მოსმენისთანავე, ნაწილი კი ამ უკანასკნელებთან ერთად ცდილობს ყველა გავლენა, წლების განმავლობაში შექმნილი კონტაქტები და ფინანსები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართოს.

ცხადია, საქართველოს სახელმწიფოს დასუსტება ერთადერთი რუსეთისა და პუტინის ინტერესებშია, რომლის მიზნების შემსრულებლებადაც დღეს ფაქტობრივ მოცემულობაში „ნაციონალური მოძრაობა“ არის წარმოდგენილი.

არ ვიცი, ბატონებო, სულელობით მოგდით, რომელიც სიძულვილის შედეგია თუ მიზანმიმართული ვერაგობით, მაგრამ ფაქტი ერთია – იმას, რასაც ყოფილი ხელისუფლება აკეთებთ, მხოლოდ პუტინის ოცნება თუ არის და ღიად გადანაშაულებთ „ნაციონალურ მოძრაობას“ პუტინის სამსახურში.

საქართველო ევროპის ნაწილია, ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორები და მზარდი ქვეყანა ვართ, რომელმაც ბოლო წლებში მივაღწიეთ დემოკრატიის ძირითადი ინსტრუმენტების შექმნას, მაშინ, როდესაც თქვენ ქვეყანა ერთ დიქტატორულ იმპერიად შექმენით. ეს თქვენც კარგად იცით და ამის წინააღმდეგ წასვლა ჩვეულებრივი ღალატია საკუთარი სამშობლოსი.

ჩვენო ხელისუფლებავ, თქვენ კი მართლაც გაანძრიეთ ერთი ადგილი და დღე და ღამე გაასწორეთ, რომ მუდმივად ხვდებოდეთ ჩვენს პარტნიორებს, როდესაც მათგან ათას რამეს ვითხოვთ, კეთილი ინებეთ და ითანამშრომლეთ მათთან, რომ მხარდაჭერა მოიპოვით და არა მცდარი და უსამართლო კრიტიკა, – წერს გამზარდია. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „სიტყვის თავისუფლების კერასთან“ 24-საათიანი მორიგეობა დაწესდა



არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შესასვლელთან ბრიფინგი გამართეს. როგორც პროდიუსერმა ირაკლი საღინაძემ განაცხადა, ისინი ტელეკომპანიასთან 24-საათიან მორიგეობას აწესებენ. საღინაძის განმარტებით, ამის მიზეზი სიტყვის თავისუფლების დაცვაა ნებისმიერი თავდასხმისა და პოლიტიკური ზემოქმედებისგან.

– საზოგადოების წარმომადგენლები, სხვადასხვა „ენჯეოს“, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, ადამიანები, ვინც საკუთარი შრომითა და პროფესიონალიზმით ვცდილობთ, რომ ჩვენი ქვეყანა შედარებით უკეთესი გავხადოთ და ჩვენს შვილებს უკეთესი მომავალი შევუქმნათ, შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ, დავაწესოთ 24-საათიანი მორიგეობა შემოსასვლელთან იმისთვის, რომ დავაზღვიოთ სიტყვის თავისუფლების კერა ნებისმიერი თავდასხმისგან, ნებისმიერი პოლიტიკური ზემოქმედებისგან. ჩვენ დავდგებით ფარად, რომ ამ ტელევიზიამ და ზოგადად, ჩვენმა ქვეყანამ შეძლოს დემოკრატიული განვითარება და შევძლოთ, რომ არც ხელისუფლება და არც სხვა პოლიტიკური ძალა არ გავიდეს კონსტიტუციური ველიდან და არჩევნები, რომელიც 1 წელში უნდა გაიმართოს, ჩატარდეს ისეთ პირობებში, რომ არ აჩენდეს ეჭვს იმის თაობაზე, რომ ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი, დღეიდან ვიწყებთ აქ მორიგეობას, ვინც თვლით, რომ აქ დგომა მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, შემოგვიერთდით, – განაცხადა საღინაძემ. (kvira.ge)

## და დაუბმელად რომ ეცემათ, არაფერი უშავდა, არა?



საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა კახა კოჟორიძემ პოლიციის სამმართველოში ნაცემი ადვოკატი გიორგი მდინარაძე მოინახულა.

კოჟორიძის თქმით, ადვოკატის მიმართ განხორციელებული ქმედება შეიცავს არაადამიანური მოპყრობის ნიშნებს. პრეზიდენტის მრჩეველი მოუწოდებს პროკურატურას დაუყოვნებლივ მოხდეს ფაქტის გამოძიება და დამნაშავე პირების დასჯა.

– დაბმული ადვოკატის ცემა პროფესიული მოვალეობის განხორციელების გამო, ეს არის უაღრესად ალმაშფოთებელი ამბავი, მაგრამ კიდევ უფრო ალმაშფოთებელი იქნება, თუ ამას არ მოჰყვება შესაბამისი რეაგირება და დამნაშავე პირების მთელი სიმკაცრით პასუხისგებაში მიცემა. პრეზიდენტი, ცხადია, ინფორმირებულია და ჩვენ ამ საქმეს ბოლომდე მივადევნებთ თვალს, კარგია, რომ პროკურატურამ დაიწყო ამ საქმის გამოძიება და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. იმედი მაქვს, ის პირები, რომლებმაც ეს არაადამიანური საქციელი ჩაიდინეს პასუხისგებაში მიეცემიან, – განაცხადა კახა კოჟორიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთმა ეგვიპტის მიმართულებით ფრენები შეაჩერა



31 ოქტომბერს მომხდარი ტრაგედიის გამო, რუსეთმა ეგვიპტის მიმართულებით ფრენები დროებით შეაჩერა. გადაწყვეტილებას ამის შესახებ ხელი ვლადიმერ პუტინმა მოაწერა.

თვითმფრინავში მომხდარი აფეთქება შავი ყუთის გაშიფვრის დროსაც დამტკიცდა, თუმცა გამოძიება „ეარბას A-321“-ში ბომბის არსებობას ჯერ არ ადასტურებს.

შეგახსენებთ, რუსული ავიაკომპანია „კოგალიმავიას“ ლაინერი ეარბას A-321 ეგვიპტის ტერიტორიაზე, სინაის ნახევარკუნძულზე 31 ოქტომბერს ჩამოვარდა. ავიაკატასტროფისას ბორტზე 224 ადამიანი – 217 მგზავრი, მათ შორის 17 ბავშვი და ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდა. ყველა მათგანი დაიღუპა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 14 წლის ლელა კახიძეს დახმარება სჭირდება



იაშვილის სახელობის კლინიკის დიალეზის ცენტრში მოთავსებულია 14 წლის ლელა კახიძე, რომელსაც ორივე თირკმელი გათიშული აქვს.

ლელა კახიძე საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას თურქეთში.

პაციენტი იმყოფება მძიმე მდგომარეობაში და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სტამბულის ერთ-ერთ კლინიკაში ლელა კახიძის ოპერაციასა და მკურნალობას 60 000 ლარი სჭირდება. ოჯახს შესაბამისი სახსრები არ გააჩნია.

როგორც ოჯახის ახლობლები აცხადებენ, ჯანდაცვის სამინისტრო ვერ ახერხებს ავადმყოფის დახმარებას.

ლელა კახიძის დასახმარებლად „საქართველოს ბანკში“ გახსნილია ანგარიში. დახმარების სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია თანხის ჩარიცხვა: GE12BG0000000909559700. (ghn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## წვრთნები ოკუპირებულ აფხაზეთში – გუდაუთაში მძიმე ტექნიკა გადაადგილდება



დაახლოებით ერთი საათის წინ, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, გუდაუთის ნომერ 7 ბაზაზე რუსმა ოკუპანტებმა წვრთნები დაიწყეს.

როგორც „ნიუპოსტს“ ოკუპირებული რეგიონიდან აცნობეს, დაახლოებით ერთი კვირის წინ ადგილზე ახალი ბრიგადა ჩამოიყვანეს.

როსტოვიდან ჩამოყვანილი ბრიგადის წევრები გადაადგილდებიან მძიმე ტექნიკის გამოყენებით და ესვრიან სამიზნე წერტილებს, რომელიც მაღალმთიან ადგილებზე მდებარეობს.

როგორც „ნიუპოსტმა“ გაარკვია, მიმდინარეობს ოჩამჩირისა და გალის ბატალიონის ცენტრალური ბაზების გადახალისება. რუსეთიდან 400-მდე ჯარისკაცი ჩამოიყვანეს და ძველი ჯარისკაცები ჩაანაცვლეს.

400 ჯარისკაცში შედიან ისეთები, რომლებსაც შტურმით აღების ოპერაციებში დიდი გამოცდილება აქვთ და ასევე კარგად ფლობენ მძიმე ტექნიკას.

წვრთნებს რუსეთიდან ჩამოსული გენერალიტეტი აწარმოებს.

## ნიკა გვარამია ახალ ტელევიზიას ხსნის?!



გავრცელებული ინფორმაციით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ შესაძლოა, ახალი ტელევიზია გახსნას.

კულუარული ინფორმაციით, აღნიშნულთან დაკავშირებით ნიკა გვარამიას „რუსთავი 2“-ის რამდენიმე ჟურნალისტთან უკვე ჰქონდა საუბარი, თუმცა ამ ეტაპზე უცნობია, ვინ წაჰყვება გვარამიას ახალ არხზე. აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს არხის გენერალური პროდიუსერი. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს, ისინი ინფორმაციას არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

ამბობენ იმასაც, რომ ახალი არხის გახსნის შემთხვევაში, გვარამიასთან „რუსთავი 2“-ის მთავარი სახეები: ნანუკა ჟორჟოლიანი, მაია ასათიანი, ზაალ უდუმაშვილი, გიორგი გაბუნია, დიანა ჯოჯუა, ნოდარ მელაძე, დავით კიკალიშვილი და სხვები გადავლენო, თუმცა რა იქნება და როგორ, ეს ჯერჯერობით არავისთვისაა ცნობილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი ტელეკომპანიის შექმნის იდეაზე, „რუსთავი 2“-ის აქციების საკონტროლო პაკეტის ერთ-ერთმა მფლობელმა გია ყარამანიშვილმაც ისაუბრა. ყარამანიშვილის თქმით, მას „რუსთავი 2“-ის ნაცვლად ახალი არხის გახსნის ინიციატივა ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების შემდეგ გაუჩნდა. (primenewsgeorgia.ge)

## მტკვარში ორი დღის წინ გადავარდნილი გოგონას ცხედარს ეძებენ



ორი დღის წინ, მშვიდობის ხიდთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მტკვარში გადავარდნილი გოგონას ძებნა შეუჩერებლად მიმდინარეობს, – ამის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში აცხადებენ.

– ორი დღის წინ მშვიდობის ხიდთან მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. ადგილზე მობილიზებული იყვნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველები. შემთხვევის ადგილზე მდინარე მტკვრიდან ამოყვანილია ერთი გარდაცვლილი, ერთი ადამიანი მოვათავსეთ ინგოროყვას კლინიკაში და ახალგაზრდა გოგონას სამძებრო სამუშაოები ამ წუთებშიც შეუჩერებლად მიმდინარეობს. მდინარე მტკვრიდან ასევე ამოღებულია ავტომანქანა, სადაც აღნიშნული ადამიანები ისხდნენ, – აღნიშნავენ სააგენტოში. (გჰნ.გე)

# „შუშის სასახლის კულუარები“ – რატომ არის უკმაყოფილო ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნებით“, ვინ დარჩება უმუშევარი და ვის დაიჭერენ უახლოეს დღეებში ახალი ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მოქმედებით თუ უმოქმედობით, ძალიან გაბრაზებული ყოფილა. ივანიშვილს სერიოზული პრეტენზიები ქვეყნის მმართველი კოალიციის ლიდერთა მიმართაც აქვს.

ამის შესახებ „ალიას“ კონფიდენციალურმა წყარომ გაუმხილა.

წყაროს თქმით, შაბათს ღამით, ივანიშვილი „შუშის სასახლეში“ ხელისუფლების რამდენიმე ლიდერს შეხვდა. წყარო აცხადებს, რომ მათ შორის იყვნენ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი და პარტია „ქართული ოცნების“ რამდენიმე ლიდერი.

წყაროს ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი ძალიან გაბრაზებული ყოფილა იმ მოვლენებით, რაც „რუსთავი 2“-ის გარშემო ხდება. ამ საქმეში კი მთავარ დამნაშავედ გიორგი ბადაშვილი მიუჩნევია. ივანიშვილს ბადაშვილისთვის უთქვამს, ქიბარ ხალვაშს ეს ტელევიზია ძალით დაათმობინეს, ამ კაცმა პროკურატურაში იჩივლა, თქვენ ადექით და ეს საქმე თაროზე შემოდეთ. საქმე დროულად რომ გამოგეძიებინათ, მაშინ ვინც მას ტელევიზია წაართვა, სააკაშვილსაც და სხვებსაც სისხლის სამართლის დანაშაული დაუმტკიცდებოდათ, მათ ბრალს წაუყენებდნენ და წართმეული ქონება უპრობლემოდ დაუბრუნდებოდაო. პროკურატურის უუნარობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ „რუსთავი 2“-ის საქმე პოლიტიკურ ცირკად აქციეთ, მთელი დასავლეთი საქართველოში სიტყვის თავისუფლების, ჟურნალისტების უფლებების დარღვევაზე, მედიასა და სასამართლოზე ხელისუფლების ზეწოლაზე ლაპარაკობსო.

გიორგი ბადაშვილს თავის მართლება დაუპირებია, მაგრამ ივანიშვილს გაუჩერებია, – მაგ საქმეს დეტალურად ვიცნობ, კანონდარღვევათა მთელი კასკადია და საქმის აღძვრა და დამნაშავეთათვის ბრალის წაყენება შენი მოვალეობა იყო, მაგრამ ეს არ გააკეთე და ამით ძალიან ბევრი დააშავეო. ექსპრემიერს ბადაშვილისთვის ძებნილები, დათა ახალაია და დავით კეზერაშვილიც შეუხსენებია, ერთი აქ სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს, სააკაშვილთან ერთად, მეორე კი ამ გადატრიალებას აფინანსებს და ვერც ერთი ვერ ჩამოიყვანე და ვერ ჩასვი ციხეში, არადა საამისოდ საკმარისზე მეტი მიზეზი არსებობსო.

ივანიშვილის ახლო გარემოცვაში ლაპარაკობენ, რომ გიორგი ბადაშვილი მთავარი პროკურორის პოსტს რომ დატოვებდა, ფინანსური პოლიციის უფროსად უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ახლა ამბობენ, რომ ივანიშვილი ისეა მასზე გაბრაზებული, ამ პოსტზეც არ დანიშნავს და შესაძლოა, საერთოდ, უმუშევრად დარჩესო.

როგორც წყარო გადმოგვცემს, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში უკრაინულ მედიაში ახალი ჩანაწერები გამოქვეყნდება და ეს ჩანაწერები საბოლოოდ დაადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილი „რუსთავი 2“-ის მეშვეობით, საქართველოში სისხლიან რევოლუციას გეგმავს, ამ საქმეში ჩართულნი არიან „ნაცმოძრაობის“ ლიდერები და მათ, უბრალოდ, დაიჭერენ და ამით დასრულდება ყველაფერი. ჩანაწერებით დამტკიცდება ისიც, რომ ნიკა გვარამია „რუსთავი 2“-ს კი არ იცავს, საკუთარ თავს, საკუთარ თავისუფლებას იცავს, რომ ციხეში არ წავიდეს, რადგან რამდენიმე ჩანაწერით მალე დადასტურდება, რომ სააკაშვილის სისხლიანი რევოლუციის გეგმას ის არათუ მხარს უჭერს, მეტიც, იმაზეც თანახმაა, თუ სააკაშვილს დასჭირდა, „რუსთავი 2“-ის მთელი კოლექტივი გაწიროს უკანასკნელ კაცამდე და ეს ჩანაწერებით მალე დადასტურდებაო. სააკაშვილისთვის და გვარამიასთვის ეს ჟურნალისტები საზარბაზნე ხორცია მთელი მათი რევოლუციური გეგმისთვის და სხვა არაფერი, აი, ზუსტად ასე, ამ სიტყვებით იხსენიებენ ჟურნალისტებს ერთ-ერთ ჩანაწერში, ეს კაცი, ნიკა გვარამია პასუხისმგებლობას ვერ გაექცევაო.

წყარო იმასაც აანონსებს, რომ მიხეილ სააკაშვილთან სისტემატური სატელეფონო კავშირი რამდენიმე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელსაც ჰქონდა და ეს მათი საუბრებიც გამოქვეყნდება. სააკაშვილი მათ კონკრეტულ დავალებებს აძლევდა და ისინიც უსიტყვოდ ასრულებდნენ მის ამ დავალებებს, მათაც სწორედ სისხლიან რევოლუციასა და ქვეყანაში დესტაბილიზაციის მხარდაჭერაზე ესაუბრებოდა სააკაშვილი და ესენიც ჰპირდებოდნენ, რომ ამისთვის ყველაფერს გააკეთებდნენ. „რუსთავი 2“-ის თემას გამოიყენებდნენ არეულობისა და რევოლუციის დასაწყებად.

წყაროს ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი, ზოგადად, ხელისუფლების პიარით და განსაკუთრებით, „ქართული ოცნების“ პიარჯგუფის მუშაობითაც ძალიან უკმაყოფილო ყოფილა – „არც ხელისუფლების სტრუქტურების და არც „ქართული ოცნების“ პიარი „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციების საპირისპიროს არაფერს აკეთებს. პოლიტიკური ბრძოლა ორ ძალას შორის სახეზეა, ამ ბრძოლაში პიარს ძალიან დიდი როლი აქვს და ამასაც ვერ ხვდებიან, საუბედუროდ. მესმის, რომ შესაძლოა, ტელევიზიით ძვირი ჯდება გავრცელებული ინფორმაციების უარყოფა, მესმის, ტელევიზიებში რეკლამა ძვირია და უფასოდ, ერთ სიტყვას არავინ შეგაწევს და ყველა დეზინფორმაციაზე ადეკვატური პასუხის გაცემა შეუძლებელია, მაგრამ გაზეთებისა და სააგენტოების მეშვეობით ამის გაკეთება ხომ მაინც შეიძლება? მათთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას სარეკლამო სახით რა უდგას წინ. ეგ კი არა, ბევრი თავისუფალი გაზეთი და სააგენტოა, რომლებიც საკუთარი ნებით ჩვენს პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერენ, ჩვენს წარმომადგენლებს სხვები რომ ჩირქს სცხებენ, ეს გაზეთები და სააგენტოები საკუთარი ნებით პასუხობენ ამ ტყუილის გამავრცელებლებს, ჩვენ გვიცავენ, ამ დროს, მათთვის ერთი პატარა ტექსტის დაბეჭდვა და გაგზავნაც კი ეზარებათ. მე ფულს მთხოვენ, რომ ვითომ პიარისთვის სჭირდებათ, მაგრამ მაგათი გაკეთებული ჯერ ვერაფერი ვნახე. ან შეგნებულ საბოტაჟთან გვაქვს საქმე, რომ ჩვენი პოლიტიკოსები და საჯარო მოხელეები გაილანძღონ და ხალხს ამის საპირისპირო ინფორმაცია არ მიაწოდონ, ან არაკვალიფიციურ ხალხთან და უუნარობასთან გვაქვს საქმე. დახარჯეთ ფული და ეს მყრალი ინფორმაციის ნიაღვარი დააბალანსეთ, ხალხს, შეძლებისდაგვარად, ობიექტური ინფორმაცია მიაწოდეთ და ჩვენი გაკეთებული საქმეების შესახებ გააგებინეთო“, – ასე გადმოგვცემს წყარო ივანიშვილის ნათქვამს ამ საკითხთან დაკავშირებით.



ყოფილ პრემიერს „ქართული ოცნების“ პიარის სამსახურის მიერ გაწეული ხარჯების დეტალური ანგარიში მოუთხოვია და არ არის გამორიცხული, „ქართული ოცნების“ პიარსამსახური რამდენიმე წამყვანმა თანამშრომელმა დატოვოს კიდეც, ივანიშვილი ისეა გაბრაზებული ამ სამსახურის მუშაობაზეო, – აცხადებს წყარო.

გაბრაზებული თუა, ცუდი არ არის, იქნებ რაიმე შედეგი მოჰყვეს ამ გაბრაზებას, თორემ სხედან ეს „პიარშიკები“, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ყავის წრუპვის მეტს არაფერს აკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, რაც პრესაში იწერება, მათ შეფებთან რომ ან საერთოდ არ მიდის, ან რაც მიდის, მიკიბულ-მოკიბული, ფაქტია. ასე რომ არ იყოს, მინიმუმ ერთი მინისტრი მაინც იტყოდა, მართალია, რასაც „ალია“-„ქრონიკა“ წერს – რეკლამა და პიარია საჭირო ჩვენი ამბების გასაშუქებლად, თორემ არ გვაქვს საქმე მთლად კარგადო.

ჰოდა, დაგეჯერებინათ, ჩემო ბატონო და არც ბიძინა ივანიშვილს გააბრაზებდით!

ისე, ახლა მაინც დაგვეთანხმონ იქნებ სამინისტროებიცა და მათი პიარსამსახურებიც, რომ 100-პროცენტიანს ვწერთ, როცა მიგითითებთ, რომ პიარია საჭირო და პრესისთვის რეკლამის მიტანა. ხომ ხედავთ, ბიძინა ივანიშვილიც კი მაგ აზრზე ყოფილა და რომ დაგეჯერებინათ თავის დროზე ჩვენთვის, ახლა არც სამსახურის დაკარგვის საშიშროება ექნებოდა ვინმეს და არც საყვედურებსა და შენიშვნებს მიიღებდა.

ნუ, თუ ისევ ძველ აზრზე დარჩებით, რევოლუციას თუ აგიგორებთ მიშა „რუსთავი 2“-ის მეშვეობით და გალიმებულებს დაგტოვებთ, მერე გველაპარაკეთ თქვენს პიარსტრატეგიებზე...

დაბოლოს, წყარო იმასაც გვეუბნება, რომ უკვე წინასწარ შეიძლება იმის თქმა, „ნაცმოძრაობის“ რომელი ლიდერები გადაჰყვებიან ამ გავრცელებულ სატელეფონო ჩანაწერებს და იმ ჩანაწერებს, რომლებიც მომავალში გავრცელდება.

ის, რომ რამდენიმე დღეში ყველაფერი დამთავრდება, „ნაციონალების“ რამდენიმე ლიდერს დაიჭერენ და მიხეილ სააკაშვილს უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით ბრალს წაუყენებენ, დარწმუნებულია წყარო. ასევე, ეს ყველაფერი საბოლოოდ ჩააგდებინებს ხმას „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერ შინაურებს თუ უცხოელებს, მათ შორის, ელჩებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ეგენი მალე რიგში ჩადგებიან ირაკლი ღარიბაშვილთან ბოდიშის მოსახდელად, ისეთი ბომბი ჩანაწერები გამოქვეყნდებაო.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ჩემი დაკვირვებითა და აზრით, მთავრობა არც ერთი ექსპერტის მოსაზრებას საერთოდ არ ეცნობა“

**საშინაო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსს, ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში, ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა:**

**— ბატონო ალექსანდრე, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა თბილისში ვიზიტისას განაცხადა, „აზერბაიჯანს გაზი იმდენი აქვს, რომ 100 წელი შეუძლია, უზრუნველყოს თავისი თავი, მეზობლები და ევროპა“. მას შემდეგ, რაც ჩვენთან საქართველოს გაზის ბაზარზე „გაზპრომის“ სავარაუდო დაბრუნების თემა ხმაურით განიხილებოდა, თქვენ როგორ აღიქვით ალიევის ეს განცხადება და საერთოდ, თქვენი ვარაუდით, რით დასრულდება ვიცე-პრემიერ კახი კალაძის განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველო „გაზპრომისგან“ დამატებით გაზს მიიღებს?**

– „ბი-პი“-ს 2015 წლის მსოფლიო ენერგეტიკის სტატისტიკური წელიწდეულის თანახმად, აზერბაიჯანის ბუნებრივი აირის მარაგი 1.2 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. ამასთანავე, ის ყოველწლიურად 16.9 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს აწარმოებს და 9.2 მილიარდს მოიხმარს. ის 6 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს სამხრეთ კავკასიის (შაჰ-დენიზ-თბილისი-ერზრუმის) გაზსადენით თურქეთს აწვდის. ამ ძალიან ზოგადი ინფორმაციიდან სამი პრინციპული დასკვნის გაკეთება შეიძლება: 1. იმისთვის, რომ აზერბაიჯანმა მხოლოდ დღევანდელი მოცულობით თურქეთი და საქართველო გაზით მოამარაგოს, მან რუსეთისგან ყოველწლიურად, სულ მცირე, 1 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა შეიძინოს (ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით); 2. არსებული ექსპორტის მოცულობები აშკარად არასაკმარისია და მხოლოდ იმისთვის, რომ აზერბაიჯანმა სამხრეთ კავკასიის მილსადენის შეთანხმებები დააკმაყოფილოს (30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდება თურქეთისთვის), მან გაზის მოპოვება, სულ მცირე, უნდა გაასამმაგოს, ამ შემთხვევაში კი მისი გაზის მარაგი 34 წელიწადში ამოიწურება. ასე რომ, პრეზიდენტ ალიევის განცხადება პოლიტიკურია და ტექნიკურ პარამეტრებზე დაფუძნებული არ არის; 3. აზერბაიჯანის გაზის ბაზარი არამდგრადია და საქართველომ თავისი ენერგოუსაფრთხოებისთვის, ჯერ ერთი, მძლავრი მიწისქვეშა გაზის საცავი უნდა ააშენოს და მეორეც, მან აუცილებლად უნდა გამონახოს გაზის ალტერნატიული წყაროები. ამ მიმართულებით, ჩვენ ძალიან სერიოზულად ირანთან თანამშრომლობაზე უნდა ვიფიქროთ. რაც შეეხება „გაზპრომს“, ჩვენ დღეს ვიღებთ მისგან გაზის იმ მოცულობას, რომელიც სომხეთში გაზის ტრანზიტის საფასურია. უნდა ვენდოთ, თუ არა „გაზპრომს“, ეს მთავრობის პასუხისმგებლობაა. მე, მაგალითად, ასეთ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე აშკარად არ ავიღებდი და გაზის სხვა მომწოდებლებთან ჩავატარებდი სერიოზულ მოლაპარაკებებს.



**— ეკონომიკურ საკითხებზე ხელისუფლების მიერ მიღებულ რომელ გადაწყვეტილებას მოიწონებდით და რომელს, პირიქით, დაიწუნებდით? თანაც, იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც დღეს მსოფლიო პოლიტიკაში და, შესაბამისად, ეკონომიკაში ხდება, თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული ეკონომიკის სფეროს გაძლიერებისთვის, უპირველესად, რა გადაწყვეტილებებს მიიღებდით?**

– ვერ მოვიწონებ მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას მთლიანობაში, უფრო ზუსტად, მე ასეთს საერთოდ ვერ ვხედავ. აიღეთ თუნდაც ლარის პერიპეტიები, მთავრობის უმოქმედობით იქმნება კრიტიკული სიტუაციები და შემდეგ მთავრობის გმირული თავგანწირვის შედეგად ხდება ამ სიტუაციების ავი თუ კარგი განმუხტვა. ჩემი დაკვირვებითა და აზრით, მთავრობა არც ერთი ექსპერტის მოსაზრებას საერთოდ არ ეცნობა. საქართველოს ძალიან სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა საკმაოდ ადვილია და მე მიამიტურად არ მესმის, რატომ არ აკეთებდა ამას არც ერთი მთავრობა დამოუკიდებლობის მიღწევის დღიდან.

მთავრობამ რეალური სექტორის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, ამ სექტორში იაფი ფულის მოდინების უზრუნველყოფის გზით. მრეწველობის პრიორიტეტულ დარგებად ეროვნულ ბუნებრივ, პირველ რიგში – მინერალურ რესურსებზე დაფუძნებული დარგები უნდა ჩაითვალოს. ამ დარგების განვითარებისთვის კი, თავის მხრივ, სამთო სექტორი ნახტომისებურად უნდა აღორძინდეს, რისთვისაც ამ სექტორში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციები უნდა შემოვიდეს. ასეთი ინვესტიციების გრძელვადიანი, მდგრადი ნაკადის წარმოსაქმნელად კი ეროვნული გეოლოგიური სამსახური უნდა აღდგეს და შეიქმნას პრინციპულად ახლებური სამთო-გეოლოგიური კოდექსი. არაერთხელ განმიცხადებია, რომ ასეთი კანონპროექტი მე პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს 2013 წლის 28 თებერვალს გადავეცი. პასუხად სრული სიჩუმე მივიღე. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა აზრი მექნება ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

**— „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებულმა პროცესებმა გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე შექმნა... თქვენ როგორ შეაფასებდით „რუსთავი 2“-ის საქმეზე გამართულ სასამართლო დავასა და მიღებულ განჩინებას?**

– ჩემი აზრით, თუ სამართლიანობა უნდა აღდგეს უძრავი ქონების დაბრუნების გზით, მაშ ეს პრინციპი რატომ არ უნდა მოიცავდეს „რუსთავი 2“-ს? რატომ უნდა ჰქონდეს აშკარად ექსტრემისტულ პოლიტიკურ ძალას ექსკლუზიური ტელეარხი. არც ერთ სხვა პოლიტიკურ ძალას, „ქართული ოცნების“ ჩათვლით, თავისი პრესტიჟული ტელეარხი არა აქვს და, საერთოდ, რატომ უნდა იყოს ტელეარხი პოლიტიზებული და არაობიექტური? ასევე, მიმაჩნია, რომ დღეს „რუსთავი 2“-ის პრობლემა ვერ მოგვარდება, თუნდაც სააპელაციო სასამართლომ განჩინება უცვლელად დატოვოს. მე ბევრ სხვა სასამართლო პროცესს მოველი, თუნდაც ბატონ ხალვაშსა და ტელეარხის პირვანდელ მფლობელებს შორის. ვთვლი, აგრეთვე, რომ არც ამერიკის საელჩოს და არც, რასაკვირველია, ოდიოზური „ევროპის სახალხო პარტიის“ განცხადებები სამართლიანი არ არის. მიმდინარეობს არა მედიის თავისუფლების შეზღუდვის, არამედ, პირიქით, ფართო გაგებით, მედიის თავისუფლების საბოლოო უზრუნველყოფის პროცესი... (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# ახალი თაობის ქართველი „კანონიერი ქურდები“ — კრიმინალური კლანები და სისხლიანი გარჩევები

„ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში 2005 წელს გამოცხადდა. მიიჩნევა, რომ ეს ბრძოლა საკმაოდ ეფექტურიც აღმოჩნდა.

„ქურდული სამყაროს“ წევრობა 2231-ე მუხლით არის გათვალისწინებული და ის მძიმე დანაშაულად ითვლება. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დასჯადია „ქურდული სამყაროს წევრობა“, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე, ჯარიმით ან მის გარეშე, ხოლო მეორე ნაწილით ისჯება „კანონიერი ქურდობა“, რომლის სანქციაც არის თავისუფლების აღკვეთა 7-დან 10 წლამდე.



კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის მიუხედავად, ქურდულ სამყაროს წევრობის ბრალდებით ახალგაზრდებსაც აკავებენ. AMBEBI.GE შეეცადა გაერკვია, ვინ არიან ახალი თაობის „ქართველი ქურდები“.

შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, 1984 წლის შემდეგ დაბადებული რამდენი ახალგაზრდა იქნა დაკავებული „ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით, მონაცემები ასე გამოიყურება:

2012 წელს 223-ე მუხლის პირველი ნაწილით დევნა დაიწყო დაიწყო 3 პირზე; 2013 წელს – 24 პირზე; 2014 წელს – 14 პირზე.

რაც შეეხება 1984 წელს ზემოთ დაბადებულ ე.წ. კანონიერ ქურდებს, სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში სსკ 223-ე მუხლის მეორე ნაწილით სამართლებრივი დევნა არც ერთ პირზე არ განხორციელებულა. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ ახალი თაობის ე.წ. „კანონიერი ქურდები“ საზღვარგარეთ, მეტწილად რუსეთში, იტალიასა და საფრანგეთში ცხოვრობენ. ჩვენ ამ სტატიაში რამდენიმე მათგანზე მოგითხრობთ:

**ლაშა ბარათელი, „ჭია“**

25 წლის „კანონიერი ქურდი“ ლაშა ბარათელი, მეტსახელად „ჭია“, რუსეთში ცხოვრობს. „ჭია“ გასული წლის დეკემბერში სანკტ-პეტერბურგში დააკავეს. ბარათელს დაკავებამდე „დედ ჰასანის“ კრიმინალური დაჯგუფების წევრები დაესხნენ თავს; მას სადარბაზოში დახვდნენ, რამდენიმე საათის განმავლობაში უმოწყალოდ სცემეს და შემდეგ სახე და სხეული ისე დაუსერეს, რომ მისი ცნობა შეუძლებელი გახდა. გავრცელდა ხმები, რომ მან „დედ ჰასანის“ მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა და კრიმინალური ავტორიტეტის მომხრეებმა ამიტომ აწამეს. „ჭია“ რეაბილიტაციის კურსს სანკტ-პეტერბურგში გადიოდა, მისი სახელი და თითის ანაბეჭდები 3 წლის წინანდელ დანაშაულში ამოტივტივდა და დაკავების მიზეზი სწორედ ეს საქმე გახდა.

**სერგო ჩიხლაძე, „სამტრედსკი“**

ე.წ. კანონიერ ქურდს სერგო ჩიხლაძეს, კრიმინალურ სამყაროში „სამტრედსკის“ სახელით იცნობენ. ჩიხლაძე 13 აგვისტოს მოსკოვში დააკავეს. პირადი ჩხრეკის დროს, 31 წლის ე.წ. კანონიერ ქურდს 2 გრამი გაურკვეველი წარმოშობის ნივთიერება აღმოუჩინეს. ექსპერტიზის დასკვნით, ნივთიერება ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი აღმოჩნდა. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ ყიდვის, შენახვის, გადატანის, წარმოებისა და ფლობის შესახებ. რუსული მედიის ინფორმაციით, სერგო „სამტრედსკი“ ტარიელ ონიანის კლანის წევრია, რომელიც „დედ ჰასანის“ დაჯგუფების კონკურენტად მიიჩნეოდა.

**ბესო კვინიხიძე, „ბესი რუსტავსკი“**

31 წლის ე.წ. კანონიერი ქურდი, ბესო კვინიხიძე, მეტსახელად „ბესი რუსტავსკი“ გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტის ზურა კვინიხიძის ვაჟია. ის პირველად 1999 წელს მოექცა ყურადღების ცენტრში, როდესაც ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო კომპანიის მფლობელის ვაჟი გაიტაცა. სამართალდამცავებმა მისი დაკავება არბატზე მოახერხეს. „კანონიერი ქურდების“ წინაშე მისი „ქურდობის“ საკითხი 2013 წლის ივლისში დადგა, როდესაც კრიმინალური ავტორიტეტები მათი მეგობრის თამაზ ფიფიას წლისთავზე იყვნენ შეკრებილები. კვინიხიძის „ქურდობას“ მხარი მაშინ ძმებმა ქარდავებმა და მათმა გარემოცვამ დაუჭირა. ამის შემდეგ „ბესო რუსტავსკი“ ძირითადად სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა. თუმცა კურთხევიდან ერთი წლის შემდეგ ბესო ქურდული გარჩევების ეპიცენტრში მოექცა და მას სანკ-პეტერბურგელმა კრიმინალებმა „რიჟა ალბერტამ“ და „მირიჩამ“ დაუსწრებლად „ქურდობა“ შეუჩერეს. თუმცა სანკტ-პეტერბურგელი „ქურდების“ გადაწყვეტილება ბოლომდე ძალაში არ შევიდა და ქურდულ სამყაროში გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ამ დროს ბესოს მომხრეებმა გარჩევაზე „რიჟა“ დაიბარეს. გავრცელებული ინფორმაციით, „ქურდებს“ შორის დაპირისპირების ხმაურიანი გარჩევა თურქეთში, ქალაქ ედირნეში მოხდა, რომელსაც, საბოლოო ჯამში, ერთი თურქი პოლიციელი შეეწირა. რა ბედი ელის ამჯერად „ბესო რუსტავსკის“, ჯერჯერობით უცნობია. ის ამჟამად დაკავებულია. (ambebi.ge)

# მამა ელიზბარი: „საქმეს კანცელარიასთან შიმშილობა კი არ უნდა, უნდა გამოათრიო ეს მთავრობა კაბინეტებიდან და სულ ცხვირ-პირში უნდა ურტყა!“




დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


**რატომ დუმან ხელისუფლების წარმომადგენლები საგარეჯოში მომხდარ ფაქტებზე? რატომ უნდა შეწყვიტონ შიმშილობა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებმა და რა უნდა გააკეთოს ხალხმა?**

**„ალიას“ მამა ელიზბარი (დიაკონიძე) ესაუბრა:**

– საგარეჯოს არჩევნები ძალიან უტიფრად გაყალბდა. ორი მინისტრი, აგულაშვილი და ხიდაშელი იჯდა და თამარ ხიდაშელს ხმებს უთვლიდა. თავად თამარ ხიდაშელის მეუღლემ ხალხს სცემა გიორგიწმინდაში. აზერბაიჯანის მოსახლეობას თუმან-თუმანი დაურიგეს, ზოგს სცემეს და ასე გააყალბეს არჩევნები. ეს იყო საშინელება, საზიზღრობა. ყველაზე უმყრალესი აზროვნების ადამიანის თავშიც კი არ ამოტივტივდებოდა ისეთი რამ, რასაც ესენი სჩადიოდნენ.

ამ ყველაფრის მერე სახელმწიფო სტრუქტურები ხმას არ იღებენ. ხელისუფლება დუმს და ამ დუმილის ორი მიზეზი აქვს – პირველი, ის, რომ ხმა არ ამოეღება. მეორე – ქვეყნის „ნაღები საზოგადოების“ წარმომადგენლები, საკანონმდებლო ორგანო რომ ჰქვია, ფიქრობენ, რომ ეს ხალხი იყბედებს, იყბედებს და გაჩუმდება.

საქმეს კანცელარიასთან შიმშილობა კი არ უნდა, უნდა გამოათრიო ეს მთავრობა კაბინეტებიდან და სულ ცხვირ-პირში უნდა ურტყა! რომ ვიშიმშილო რა, მომწყინდება და შევჭამ საჭმელს. ასე, ზვიად ძიძიგურიც შიმშილობდა უახლოეს წლებში, მაგრამ მშვენივრად მიირთვა მერე, რომ მიხვდა, აზრი რომ არ ჰქონდა შიმშილობას. ნუ ჰგონიათ, თითქოს ვიღაც რომ წაიშიმშილებს, ცოტა ქონებს რომ ჩამოყრის და წამოხტებიან, ვინმეს შეაშინებენ და მოხსნიან თინა ხიდაშელსა და გიგლა აგულაშვილს. თითქოს თინა ხიდაშელი ისეთი დეგენერატია, რომ მას მერე, რაც საწადელს მიაღწია, ამის მერე მინისტრის პოსტიდან გადადგება. მეტი საქმე არ აქვს ახლა – ინაშვილის და თარხან-მოურავის შეეშინდება. არავითარი აზრი არ აქვს. თუ მართლა ბრძოლა უნდა ვინმეს, წავიდეთ და ვიბრძოლოთ.

**— რას გულისხმობთ? გასაგებია, რომ შიმშილობით ვერაფერს მიაღწევენ, როგორ უნდა იბრძოლონ, რა უნდა გააკეთონ?**

– შიმშილობით, ისეთ ადამიანებზე ვერ მოახდენ გავლენას, რომლებსაც ადამიანის ბედი არ აწუხებთ, რომლებიც არ ზრუნავენ ქვეყნის კეთილდღეობაზე. როცა შიმშილობაზეა საუბარი, ადამიანს შეეშინდება, რომ რამე არ მოუვიდეს მოშიმშილეს, არ გარდაიცვალოს და თავად არ გახდეს დამნაშავე. მაგრამ ადამიანი არ აინტერესებთ და რა აზრი აქვს?! „რესპუბლიკელებს“ სისხლსა და გულში აქვთ, რომ მათიანები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები რამენაირად შეაძვრინონ პარლამენტში, რომ მერე მათი საქმე აკეთებინონ და ეს ქვეყანა ბოლომდე გარყვნან.

სოციალურ ქსელებს ვადევნებ თვალყურს, ყველა მხრიდან წერენ, – „პრაშაი“ ევროპაო. ევროპის უამრავი ქვეყანა, ჩვენთვის რომ „წამყვანები“ არიან, ინცესტის დაკანონებაზე საუბრობენ უკვე. აქ რომ დაიწყებენ ამ საკითხზე საუბარს, ამ დროს, თინა ხიდაშელს, რა თქმა უნდა, თავისი ბიძაშვილები და ცოდვის შვილები სჭირდება ამ ყველაფრის „გასაპრავებლად“.

ხომ გახსოვთ, ის ავადსახსენებელი კესარია-ბესარია რომაა, ერთ-ერთ გადაცემაში ეკითხებოდნენ, – შენი შვილი რომ გაიზრდება და 5-6 წლის ასაკში იკითხავს, მამა და დედა ვინ არისო, – რას ეტყვიო? ის პასუხობდა, – ჩემი შვილი რომ მაგ ასაკის იქნება, საქართველოში ჰეტეროსექსუალები, შესაძლოა, უმრავლესობაში ვიყოთ ჰომოსექსუალებთან შედარებითო. საიდან მოიტანა ეს მოსაზრება არ გაინტერესებთ? იქიდან, რომ ხედავს – ხელისუფლება მხარს უჭერს მათ.

ქვეყანა იქცევა, ხელისუფლება კი ამ დროს ამბობს, რომ ყველაფერი რიგზეა. ახია ჩვენზე! ყველა იმ ადამიანზე, ვინც საკუთარ სიცოცხლეს დებდა სასწორზე და რისკავდა მათ გვერდზე ყოფნას! მე მაშინ გაზეთებიდან ვსაუბრობდი ყველაფერ იმაზე, რაც მომავალში იქნებოდა. ტელევიზიები არ მაშუქებდნენ, იმიტომ, რომ ტელევიზიები ამ თემებზე არ საუბრობენ, თუმცა ამაზე თქვენს გაზეთს ვესაუბრებოდი და აქტიურადაც მაშუქებდით. მაშინვე ვამბობდი, რომ ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში მოდიოდნენ, თუ ისევ თავის ნებაზე მივუშვით, „ნაციონალებზე“ უარესს გაგვიკეთებენ-მეთქი. ამის გამო, მახსოვს, ჩემივე ორგანიზაციის უამრავი წევრი გადამეკიდა – რატომ ამბობ ჩვენს „კუმირზე“ ასეთ რამესო. ახლა, ქუჩაში მხვდებიან და ბოდიშს იხდიან, – რა მართალი ბრძანდებოდით, მამა ელიზბარ, როცა ამას ამბობდითო. ჩვენი ხალხის ბრალია ეს ყველაფერი, ასე მოქცევას რომ ბედავენ! ამათ ცხვირ-პირი უნდა დაუნაყო! თუმან-თუმანი რომ მოგცეს, შენ ეს რომ აიღე, ამით მან შენთან ანგარიში გაასწორა! შენი ერთი გოჭიც კი აღარ მართებს. შენ გიყიდა, შენ კიდევ სამშობლო გაყიდე. ამიტომ აკეთებს იმას, რაც მას გაუხარდება!



**ასე, ზვიად ძიძიგურიც შიმშილობდა უახლოეს წლებში, მაგრამ მშვენივრად მიირთვა მერე, რომ მიხვდა, აზრი რომ არ ჰქონდა შიმშილობას**



**„პრაშაი“ ევროპაო. ევროპის უმრავი ქვეყანა, ჩვენთვის რომ „წამყვანები“ არიან, ინცესტის დაკანონებაზე საუბრობენ უკვე“**

ეს არჩევნები, მაგალითი იყო იმისა, როგორ ჩაატარებენ 2016 წლის არჩევნებს. უნდა მოშორდნენ ესენი თავის ივანიშვილიანად მთავრობას. პრინციპში, ივანიშვილი ისედაც წასულია, მაგრამ, თუ ხელახლა დააპირებს მოსვლას, ბატონმა ივანიშვილმა შესაძლოა, ისევ მოიგოს არჩევნები, იმიტომ, რომ საზოგადოებას შეიძლება ალტერნატივაც კი არ ჰქონდეს, მაგრამ ვინც მოვა მერე სახელისუფლებო წრეებში, იმათ, საერთოდაც კუდით ქვა უნდა ვასროლინოთ. 2016 წელს რომ ველოდოთ, არაფერს არ მოგვიტანს, ახლა უნდა ვიბრძოლოთ, რომ მერე, 2016 წელში სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს და ისევ თუმან-თუმან არ გაყიდონ ამომრჩევლებმა ხმები. რომელი ეროვნების წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, ის ხომ საქართველოს მოქალაქეა, ამიტომ, ის ვალდებულია, ისე მოიქცეს ამ ქვეყანაში, როგორც ნებისმიერი ქართველი.

შეხედეთ – რამდენი აზერბაიჯანელი გინახავთ ქართულ ჯარში წასული? არ გინახავთ ხომ? ასეა, იმათ ხმის ნაცვლად თუმან-თუმანი, ხოლო ჩვენს ბიჭებს თავდაცვის დეგენერატი მინისტრი! ეს მინისტრი მერე, ამ ბიჭებს უბრძანებს მტერთან შებრძოლებას და თავის შვილებს პატრიოტებადაც კი არ ზრდის თურმე.

**— თქვენ რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ?**

– ძალიან დიდი და შორსმიმავალი გეგმები მაქვს, ამ გეგმების შესახებ პერიოდულად შეიტყობს საზოგადოება. ამ ეტაპზე, მხარს ვუჭერ ქალბატონ ირმა ინაშვილის ქმედებებს, ვემხრობი მათ, მაგრამ მე მგონია, რომ ამ საქმეს შიმშილობა ვერ უშველის, არჩევნები გაგვიყალბეს, საშინელ მომავალს გვიქადიან და უკიდურესი ზომებია მისაღები.

**— რა ფორმებს გულისხმობთ?**

– ფორმა არის შემდეგი – უნდა გამოათრიოს ხალხმა ის ახალგაზრდა ყმაწვილები, მთავრობას რომ წარმოადგენენ. გამოყაროს ქუჩაში და აშიმშილოს! უნდა განიცადონ, როგორია შიმშილი და ხალხი რა დღეშია, იქნება ასე მაინც მიხვდნენ. ეს ლიდერები რომ შიმშილობენ, მათი დაუძლურებით, ხიდაშელი არ მოხსნის კანდიდატურას და არ გადადგება.

მეცოდება პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ვიღაცაზე რომაა დამოკიდებული. ერთ-ერთი რაიონის გამგებელმა მითხრა, თანხა გამოყოფილია ბიუჯეტიდან, აქ გვიდევს, მაგრამ ვერ ვხარჯავთ იმიტომ, რომ სამსახურებიდან მოგვხსნიან, ჩვენი ინიციატივით რომ დავხარჯოთო. საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება რომ მოგინდეს და რომელიმე სამინისტროში მიხვიდე, ის სამინისტრო ვერ გიწყვეტს საკითხს, პრემიერს უნდა დაუკავშირდეს, პრემიერიც ვერ წყვეტს – ცოტა ზემოთ უნდა დაუკავშირდეს. ისიც ვერ წყვეტს – ამერიკაში უნდა შეათანხმოს და საბოლოოდ ობამასთან წყდება, ალბათ, ჩვენი ქვეყნის ბედი. როგორი ასატანია ახლა ეს? მე ამ დაჩმორებული და ჭაობში ჩამპალი ხალხის მიკვირს, ქართველები რომ ჰქვიათ, და ხელისუფლებებში რომ მოდიან!

ამ ყველაფრის ფონზე, ისიც კი აღარ გვიკვირს, ასე რომ გახშირდა ეკლესიასთან ბრძოლა და როგორი წახალისებულია ის. რაც კაცობრიობა არსებობს, თვითონ უფალი მოაკვდინეს და რომელი ღვთისმშობლის შეურაცხმყოფელი ხატის გამოფენაზეა საუბარი, ეს სულ მიმდინარეობს, მაგრამ ეს რომ წახალისებულია, ესაა საგანგაშო! კუდით ქვა უნდა ასროლინო ამ სულგარყვნილ ადამიანებს. არ აწუხებს არავის ხალხის ბედი ამ ქვეყნად – სასულიერო თუ საერო იერარქიაში თუ ვინმე აღზევდა, არავინ უკან არ იხედება, რომ მათი გადახდილია და არ აღელვებთ არაფერი ამის იქით. მაპატიეთ ემოციური საუბრისთვის, სხვანაირად ამ თემებზე საუბარი შეუძლებელია.



1. სტადიონი რიოში
2. კომპოზიტორი ენიო ...
3. სრუტე პა-დე-...
4. ქიმია, რომელმაც ზომბი შექმნა (მერი შელის მიხედვით)
5. ბერძნული ანბანის ასო
6. მსახიობი ლაიზა ...
7. სახის ნაწილი
8. ხერხემლის ბოლო ნაწილი
9. დაბალფასიანი
10. დიდი სამზარეულო ჩანთა
11. ქვეყნიერების დასასრული
12. დინების იხვი
13. კუნძული ატლანტის ოკეანეში
14. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
15. მდინარე ციმბირში
16. ავტომობილი „... რომეო“
17. ყვავილი
18. დედნიდან გადაღებ. ასლი
19. ... გაფრინდაშვილი
20. კომპოზიტორი ... ბალანჩივაძე
21. თურქეთის დედაქალაქი
22. სოლჟენიცინ. „არქიპელაგი ...“
23. ოდრი ტოტუს ფილმი
24. სანელებელი
25. მსახიობი ვიტორიო ...
26. მსახიობი ... ჩახავა
27. იტალიელი მოქანდაკე
28. მზის ამოსვლა
29. ტბა შოტლანდიაში
30. დიეზი, ბემოლი, ...
31. რუსი მხატვარი პერედვიჟნიკი
32. მსახ. ... მაკგრეგორი
33. შურისძიება სიცილიურად
34. ქალაქი იტალიაში
35. ძაღლის ჯიში
36. შარლ პეროს ზღაპარი
37. ერთ ფეხზე ხტომა
38. არეკლილი ხმა
39. იეზიდთა ცეკვა
40. სამშენებლო მასალა
41. ქიმიური ელემენტი
42. მეცნიერება ცხოველებ. შესახებ
43. საავადმყოფოს ოთახი
44. ბურატინოს მეგობარი
45. კონტინენტი
46. ბრუტო, ნეტო, ...
47. ფოთოლი კანადის დროშაზე
48. „გრაფი ...-კრისტო“
49. კურორტი ბულგარეთში
50. პერსონა ...-გრატა
51. სახელმწიფო ევროპაში
52. მსახიობი ვივიენ ...
53. ესპანელი მხატვარი
54. მხატვარი ... გრეკო
55. რაგბიში დადებული გოლი
56. ქართ. ხალხური ზღაპარი
57. მ/ფ „ზოლიანი ...“
58. სახელმწიფო აფრიკაში
59. მსახ. ... ბერიკაშვილი
60. მ/ფ „ღიმილის ბიჭები“ პერსონაჟი
61. ამერიკული სამგზავრო თვითმფ.
62. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
63. ცხენზე დასაჯდომი
64. ნიანგის სახეობა
65. ... ულენშპიგელი
66. სმა-... დიდად შესარგი
67. ბალნეოლოგიური კურორტი ხარაგაულის რაიონში
68. მდ. სანკტ-პეტერბურგში
69. ფაშისტური სიმბოლიკა
70. მსახიობი ჯორჯ ...
71. რაც გინახავს ვეღარ ნახავ ქიაურული
72. ერთაოზის მამა
73. ქალაქი ...-ანჯელესი
74. რუსული ხალხური თოჯინების თეატრის პერსონაჟი
75. ყურძნის არაყი
76. გაზაფხულის თვე
77. მოდელი ... კროუფორდი
78. ანტიბიოტიკი, რომელიც ფლემინგმა ობისგან მიიღო
79. წიაღისეული სიმდიდრე
80. ლუდის მასალა
81. მსახიობი ... აბაშიძე
82. კავშირებითი სიტყვა
83. ზღვა შუა აზიაში
84. მომღერალი ... კალასი
85. მსახიობი დოდო ...
86. სპორტის სახეობა
87. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპ.
88. ჩინეთის დიდი ...
89. მთათა სისტემა ...-შანი
90. გარეული ღორი
91. კომპოზიტორი პეტრე ...
92. პერუს დედაქალაქი
93. ჩაიკოვსკის ბალეტი
94. იაკობ გოგებაშვილის სოფელი
95. ქალაქი დონზე
96. მდინარე აღმ. საქართ.
97. ევროპული ვალუტა
98. პოეტი მუხრან ...
99. ... მორჩილაძე
100. იაპონური ხალათი
101. მსახიობი ... კრუზი
102. ოპერის თეატრი ლა ...
103. მუზეუმი პარიზში
104. რისამე დამახასიათებელი ნიშანი, საგანი
105. რაც ... გერგება, ... შეგრგება
106. თბილისის უბანი
107. იგავი
108. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
109. პოპკორნი
110. ცისარტყელას ერთ-ერთი ფერი
111. იაპონური ჭადრაკი
112. იაპონიის ძველი დედაქალაქი
113. შტატი აშშ-ში
114. კანადის დედაქალაქი
115. ბოჭკოვანი მცენარე
116. დიეგო არმანდო ...
117. ჭრილობა
118. მით. ადამიანი ხარის თავით
119. წყლის ტრანსპორტი
120. მსახიობი ჰარისონ ...
121. ისარი მონიტორზე
122. ჩხუბი
123. რაჯ კაპურის ფილმი
124. კუს ჯავშანი
125. საღეჭი რეზინი
126. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
127. მწერალი ... ჩეხოვი
128. აზროვნების ორგანო
129. თევზის ძვალი
130. მუზეუმი მადრიდში
131. მსახ. ... ბეგალიშვილი
132. რეჟისორი ... კუროსავა
133. ... ხაჩატურიანი
134. მომღერალი ... სოხაძე
135. ესპანელი მხატვარი
136. ... პუგაჩოვა
137. ბანქოს ფურცელი ერთი ნახატით
138. კავშირებითი სიტყვა
139. ძვ. თბილისური მიმართვა
140. მდინარე თერგის ხეობა
141. ავტომობილის სიგნალი
142. მსახიობი ... ტაილერი
143. დედამიწის გუმბათი
144. ჰომეროსის პოემა
145. გიტარის მავთული
146. ესპანური დანა
147. ... მოგივა დავითაო

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## სწავლულები ქალებს მხოლოდ ლესბოსელებად ან ბისექსუალებად მიიჩნევენ



ჰოდა, ნურავინ დადებს ჰეტეროსექსუალობაზე თავს, მაინც გაშიფრული ხართ – ბრიტანელმა ფსიქოლოგებმა ჩაატარეს კვლევა, რომელშიც 345 მოხალისე მონაწილეობდა. მონაწილეებს ეროტიკულ ფილმებს უჩვენებდნენ, სადაც ქალისა და მამაკაცის შიშველი სხეული თანაბრად იყო წარმოდგენილი. ფსიქოლოგები აკვირდებოდნენ, შიშველი სხეულის დანახვისას რამდენად უფართოვდებოდათ თვალის გუგები რესპონდენტებს, რაც აღგზნების მაჩვენებლად ითვლება. აღმოჩნდა, რომ, როგორც ჰეტეროსექსუალები, ისე ლესბოსელები ქალის შიშველ სხეულზე უფრო მეტად რეაგირებდნენ. ასე რომ, როგორც მეცნიერები ასკვნიან, არ არსებობს მკაცრად ჰეტეროსექსუალი ქალი, რომელსაც ერთხელ მაინც არ გასჩენია საკუთარი სქესის წარმომადგენელთან ინტიმური კავშირის სურვილი.

ფსიქოლოგ ჯერალდ რიგერის თქმით, მამაკაცები მარტივი არსებები არიან, ამიტომ ისინი ან ჰეტეროსექსუალები არიან, ან ჰომოსექსუალები, მაგრამ ქალი გაცილებით რთულია, მისი სექსუალური რეაქციები დღემდე გამოცანად რჩება.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჰიპერმარკეტის ქსელმა ვაკანსია ერთმანეთში გადახლართული გირლანდების „მხსნელზე“ გამოაცხადა



ყველა ჭანჭიკის მორგებას თავისი სპეციალისტი სჭირდება და საერთოდაც, ადამიანებმა ფუნქციები უნდა გადავინაწილოთ, რომ ცხოვრების მუდმივმოქმედი მექანიზმი გამართული და საიმედო იყოს. როგორც ირკვევა, დიდ ბრიტანეთში ჰიპერმარკეტების უძველესი და უმსხვილესი ქსელი „ტესკო“ ნოემბრის დასაწყისიდან ახალ წლამდე კადრების მიღებას აცხადებს შემდეგ თანამდებობაზე – აბურდული საშობაო ნათურების გამხსნელი.

განაცხადში წერია, რომ მიიღებიან მეგობრული, კომუნიკაბელური, საახალწლო დღესასწაულების მოყვარული კადრები, რომ შეთავაზებული საქმე უყვარდეთ და მონდომებით გააკეთონ.

ჯერჯერობით უცნობია, რა ეღირება უსახელო სპეციალისტის მომსახურება.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ავსტრალიაში 30 წლის ძაღლი ცხოვრობს




ძაღლებიც თუ ისჯებოდნენ მარადიული სიცოცხლით, არ გვეგონა. ავსტრალიაში, ვიქტორიის შტატში ბრაიან მაკლარენს ძაღლი ჰყავს, რომელსაც მეგი ჰქვია და 30 წლისაა. თუ ადამიანისა და ძაღლის სიცოცხლის ხანგრძლივობას შევადარებთ ძაღლის 30 წელი ადამიანის 200 წელს უდრის, მაგრამ მეგის სულ არ აინტერესებს, რომ მისთვის განსაზღვრული სიცოცხლის ყოველგვარ ზღვარს გადაცდა. ძირითადად სძინავს, ან პატრონს სასეირნოდ დაჰყავს და სიცოცხლის ბოლო (თუმცა ვინ იცის, როდის დაიწყო მისი ბოლო წლების დათვლა) წლებს დამსახურებული პენსიონერული სტილით ატარებს. ვეტერინარ ჯეკ აიერბის თქმით, ძაღლი ამდენი წელი მხოლოდ სასწაულმოქმედი ვეტერინარის, ან რაიმე ზებუნებრივი ძალების დახმარებით ცოცხლობს. მეგის კიდევ 30 წელს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## 47 წლის ქალმა ფეხმძიმობის შესახებ მშობიარობამდე ერთი საათით ადრე შეიტყო



არიან ბავშვები, რომლებიც მშობლებს უნდოდათ და ელოდნენ მათ დაბადებას, არიან ბავშვები, რომლებიც არ იყვნენ მშობლების გეგმაში, მაგრამ მაინც ელოდნენ. თურმე, ყოფილა მესამე კატეგორიაც – ბავშვები, რომლებსაც არც ელოდნენ და არც ის იცოდნენ, უნდოდათ თუ არა.

ჯუდი ბრაუნი მუცელში გაუსაძლისი ტკივილების გამო ექიმთან მივიდა, როცა მოულოდნელად უთხრეს, რომ ფეხმძიმედ იყო და მშობიარობა ეწყებოდა. ყველა დედა ამბობს, რომ პატარას დაბადებას თავიდან ვერ აცნობიერებს. აი, ჯუდიმ კი, ვერც გააცნობიერა და ვერც მიხვდა, რა ხდებოდა 47 წლის ასაკში მის თავს. ჯუდი და ჯეისონი 22 წლის წინათ დაოჯახდნენ და ბავშვი არ ჰყავდათ. შესაბამისად, აღარც ელოდნენ ამ ბედნიერებას. ამიტომ ყველაფერზე ერთად მოუწიათ მობილიზება – ბავშვის სამოსი, ეტლი, საჭირო ნივთები.

მეან-გინეკოლოგი კიმბერლი ჯესის თქმით, მსგავსი შემთხვევები იშვიათად, მაგრამ ხდება. ამიტომ 40 წელს გადაცილებულმა ქალებმაც უნდა იზრუნონ თავის დაცვაზე, რათა არასასურველ ან დაუჯერებელ ფეხმძიმობას თავი არიდონ.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## იაპონელების მტკიცებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა



სანამ თქვენ დაიწყებდეთ მკითხველო, დაგასწრებთ და თავად ჩამოვთვლი რა ნაკლოვანებები აქვს საზოგადოებრივ ტრანსპორტს. დიდი რისკია, რომ ეპიდემიის დროს გრიპით დაავადდეთ, მთელი წლის განმავლობაში სტრესი გქონდეთ, ისეთი გადაძეძგილი იყოს, რომ ცალი ფეხით მოგიწიოთ დგომამ, ა პუნქტიდან ბ პუნქტამდე მისვლამდე ჟანგბადის ისედაც მინიმალური მარაგი არ გეყოთ, ან ა პუნქტზევე, ასვლისთანავე ამოგეწუროთ. მიუხედავად ამ მყარი არგუმენტებისა, იპონელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ამცირებს ჭარბწონიანობისა და დიაბეტის რისკს და არეგულირებს არტერიულ წნევას.

ექსპერიმენტში 49-დან 54 წლამდე ადამიანები მონაწილეობდნენ. ისინი დაყოფილი იყვნენ ჯგუფებად იმის მიხედვით, რამდენი დრო სჭირდებოდათ სამსახურში მისვლამდე. დაკვირვება 3 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და აღმოჩნდა, რომ მათ, ვისაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას 20 წუთზე მეტი სჭირდებოდათ სამსახურში მისასვლელად 34 პროცენტით უფრო ნაკლებად იდგნენ დიაბეტის, 27 პროცენტით წნევისა და 44 პროცენტით ჭარბი წონის პრობლემის წინაშე. თავად აირჩიეთ, კომფორტული მგზავრობა თუ ჯანმრთელობა.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჯონ ლენონის მოპარული გიტარა აუქციონზე 2,4 მილიონად გაიყიდა



ჯონ ლენონი რომ კარგი მომღერალი იყო, ვიცით, „ბითლზი“ რომ კარგი ჯგუფი იყო, ვიცით, მაგრამ ფასიც არის და ფასიც. ჯონ ლენონის გიტარა აუქციონზე ასტრონომიულ თანხად, 2.4 მილიონ დოლარად გაიყიდა. სხვათა შორის, ეს გიტარა მოპარული იყო 1963 წელს, პირდაპირ კონცერტიდან. ჰოდა, გამოჩნდა თუ არა სამზიანოს ლენონის ხელშენავლები ნივთი, ატყდა ერთი ამბავი და კანის შემოხევა. ინსტრუმენტის საწყისი ფასი 300 ათასი დოლარი იყო. სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ 800 ათასად გაიყიდებოდა, მაგრამ თურმე მწარედ ცდებოდნენ და არ აფასებდნენ მომღერლისადმი ფანების სიყვარულს. ისე, მთლად უმიზეზოც არ ყოფილა ეს თავის გაგიჟება. სწორედ ამ გიტარით შეიქმნა ისეთი სიმღერები, როგორიცაა „Love Me Do“, „Please Please Me“, „I Want to Hold Your Hand“ და „From Me to You“.

მაშ, არ ღირდა 2.4 მილიონი დოლარი?

**lenta.ru**

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



წითელქუდა ბებიასთან სახლში შევიდა და შეშინებულმა უცბად ჩურჩული დაიწყო:

– ბებო, ჩემო ბებიკო, საშინელი რუხი მგელი შენს საწოლში წევს?

– ვისთვის საშინელი რუხი მგელი და ვისთვის, უბრალოდ, მგელუკა...

*****

– შენა, კოტე, ცოლი რატომ არ მოგყავს?

– რა ვიცი, რამდენი გოგოც მივიყვანე სახლში, იმდენი დედაჩემმა წყევლა დამიწყო, არც ერთი არ მოეწონა.

– ადექი და შენც დედაშენს რომ ჰგავდეს, ისეთი მიიყვანე.

– მივიყვანე, მაგრამ მამაჩემმა მაგინა...

*****

ქერა გოგონას მეგობარი ეკითხება:

– რატომ ხარ ასეთი მოწყენილი?

– საელჩოში განცხადება შევავსე ვიზისთვის და არ მიიღეს.

– რატომ?

– რა ვიცი, სულ ბოლო გრაფაში ეწერა: „არ შეავსოთ“ და მეც მივაწერე: „კარგით“...

*****

– წამოდი, ჩემთან ავიდეთ!

– არ შემიძლია, ჩვენ ხომ საერთო ნაცნობებიც კი არ გვყავს?!

– ივანიშვილი ხო იცი?

– კი.

– ჰოდა, წავედით!..

*****

– უი, როგორ გამხდარხარ, ახალი დიეტა იცი რამე?

– კი, სტაფილო, ჭარხალი, კარტოფილი...

– და რას აკეთებდი, ხარშავდი თუ წვავდი?

– ვთოხნიდი...

*****



მოსამართლე ბრალდებულს:

– მოგვიყევით, რატომ ესროლეთ თქვენს მეგობარს ნადირობისას?

– საქმე ისაა, პატივცემულო, რომ ტახი მეგონა.

– და როდის გააცნობიერეთ თქვენი შეცდომა?

– როცა ტახმა საპასუხო ცეცხლი გამიხსნა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მე-7 ხელოვნების სკოლა სამძიმარს უცხადებს პედაგოგ ბელა კაკუშაძეს მეუღლის

**ზურაბ კაკუშაძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ადამიანს ცხოველისგან მხოლოდ ერთი გენი გამოარჩევს?



მეცნიერთა ჯგუფმა რიბონუკლეინის მჟავის მოლეკულა გამოყო, რომელიც მხოლოდ ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. მათი თქმით, ცხოველებისგან მხოლოდ ეს ერთი გენი გამოგვარჩევს.

როგორც ირკვევა, მეცნიერების საერთაშორისო ჯგუფმა აღმოაჩინა გენი, რომელიც მხოლოდ ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი და უცხო პრიმატებისთვის და სხვა ცხოველებისთვის.



სავარაუდოდ, სწორედ ამ გენმა შეასრულა საკვანძო როლი, ადამიანის თავის ტვინში ბევრად სწრაფი ევოლუციური ცვლილებები მომხდარიყო. მისი წყალობით, ადამიანმა შეძლო, გამოეყენებინა რთული ინსტრუმენტები და ესწავლა ლაპარაკი.

ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა, რომლებიც ჩინელ და გერმანელ კოლეგებთან ერთად მუშაობდნენ, ადამიანის გენოკოდი 11 ცხოველის გენომს შეადარა, მათ შორის, შიმპანზეს, გორილას, თაგვებს, ძაღლებს, ქათმებს და ასე შემდეგ.

კვლევის მთავარი მიზანი იყო, ადამიანებსა და ცხოველებს შორის სხვაობის აღმოჩენა და შედეგად, მეცნიერებმა მიაკვლიეს ერთ გენს, რომელიც მხოლოდ ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი და რომელსაც „მირ-941“ ეწოდება.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ ეს გენი მხოლოდ ერთ-ერთია მოკლე მოლეკულებში, რომელთაც რიბონუკლეინის მჟავა შეიცავს და რომელთაც მიკრო-რნმ ეწოდებათ. ის აქტიურია თავის ტვინის იმ ნაწილებში, რომლებიც პასუხს აგებენ გადაწყვეტილების მიღებასა და ლაპარაკის უნარზე. მეცნიერების აზრით, სწორედ ამ გენმა შეასრულა მთავარი როლი რთული ფუნქციების განვითარებაში, რამაც საბოლოო ჯამში, ჩვენ ადამიანებად გვაქცია.

*lite-word.ru*

## ქალების ამ პროფესიებს მკერდის კიბოს პროვოცირება შეუძლია



სამუშაო კაზინოებსა და ბარებში, ფაბრიკებსა და მინდვრებში, სარძევე ჯირკვლის კიბოს გაჩენის ალბათობას რამდენიმე საფეხურით ზრდის. აღნიშნული დასკვნის ავტორები კანადელი მეცნიერები არიან, რომლებმაც ამ საშინელი დიაგნოზის მქონე ათასი ქალის ანკეტა შეისწავლეს. გარდა ამისა, მოხდა ამდენივე სრულიად ჯანმრთელი ქალის მდგომარეობის გაანალიზებაც.

კანადელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგმა მის ავტორებს მისცა საბაბი, ეთქვათ, რომ რესტორნებსა და კაფე-ბარებში, ასევე, ფერმებსა თუ მინდვრებზე მუშაობა მკერდის კიბოს რისკს 5-ჯერ ზრდის. ამ ძალიან დიდი უსიამოვნების მიზეზი საკმაოდ ბანალურია: ბარების, რესტორნებისა და კაზინოების თანამშრომელთა ავადმყოფობა პასიური მოწევის შედეგია. გარდა ამისა, ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად სახელდება ღამის ცვლაში მუშაობა და მორიგეობა.

რაც შეეხებათ ქალებს, რომლებიც მსხვილ საწარმოებში არიან დაკავებულნი, რისკი მატულობს ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებების გამო, სოფლის მეურნეობაში კი – გადამუშავებული პესტიციდები და მსგავსი საშუალებები.

სპეციალისტების თქმით, რაც უფრო ხანგრძლივია ჩამოთვლილ ადგილებში ქალის მუშაობის სტაჟი, საშინელი დაავადების გაჩენის რისკიც, შესაბამისად, მატულობს. კერძოდ, მინიმუმ 42 პროცენტით.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**10 ნოემბერი:** წესით, ცუდი დღე არ უნდა იყოს. ნებისმიერ ადგილას, სადაც არ უნდა მოხვდეთ, თავს ისე იგრძნობთ, როგორც სახლში.

**კურო 22.04-21.05**
**10 ნოემბერი:** რამდენიც არ უნდა იწვალოთ და როგორც არ უნდა მოინდომოთ, საეჭვოა, დღეს რამე გამოგივიდეთ. ეს დღე მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**10 ნოემბერი:** რაიმეს შეცვლის სურვილის არქონას, ზოგჯერ უსიამოვნება მოსდევს. ამაზე, ალბათ, ხშირად საუბრობთ, მაგრამ თავად არ ითვალისწინებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**10 ნოემბერი:** შეეცადეთ, ოჯახის წევრები ზედმეტად არ შეაწუხოთ, მათაც აქვთ უფლება, ისე მოიქცნენ და ის გააკეთონ, რაც სურთ. ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი.

**ლომი 23.07-22.08**
**10 ნოემბერი:** თვითრეკლამამ ზედმეტად არ გაგიტაცოთ. შესაძლოა, ასეთ შემთხვევაში თქვენივე სიტყვები გაგახსენონ, როცა ამის გამო სხვებს აქილიკებდით.

**ქალწული 23.08-22.09**
**10 ნოემბერი:** შეეცადეთ, ის გაკვეთილები გაიაზროთ, რომელიც ცხოვრებამ გარგუნათ. განსაკუთრებული ყურადღება იმ დეტალებს მიაქციეთ, რომელიც უმნიშვნელოდ მიგაჩნიათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**10 ნოემბერი:** ნებისმიერ სიტუაციას იოლად შეეგუებით და მავანი ჩათვლის, რომ ინდივიდუალობის პრობლემა გაქვთ. ყველაფერი კარგადაა, არ ინერვიულოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**10 ნოემბერი:** დღეს რაიმე პრობლემა მოსალოდნელი არაა, ერთადერთი, რამაც შეიძლება გაგაღიზიანოთ, ისაა, რომ ლოგინიდან ადგომა გაგიჭირდებათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**10 ნოემბერი:** საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ, რომ ორგანიზმს აქტიურობა აიძულოთ. თუ ამას შეძლებთ, მთელი დღის მანძილზე ძალიან ენერგიული იქნებით.

**თხის რქა 22.12-19.01**
**10 ნოემბერი:** აუცილებლად უნდა გახსოვდეთ, რომ მეგობრობა მყიფე რამ არის და ნებისმიერ სიტუაციაში ძალიან გააზრებულად უნდა იმოქმედოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**10 ნოემბერი:** თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს შესაძლოა, დღეს ვერ მიაღწიოთ, მაგრამ სავალდებულო რაც იქნება, ყველაფერს გაუმკლავდებით.

**თევზები 19.02-20.03**
**10 ნოემბერი:** დღეს ზოგიერთები თქვენი მყუდროების დარღვევასა და ხასიათის გაფუჭებას შეეცდებიან. არ ინერვიულოთ და პასუხის გასაცემად მზად იყავით.


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.


## ინგლისელი გოგონა სიცილის ხმაზე... გონებას კარგავს



არსებობს, თურმე, ძალიან იშვიათი დაავადება, რომელიც 26 წლის ლივერპულელ გოგონას სიცოცხლეს უმწარებს: ყოველთვის, როცა ის რაიმე ხმაურს იგებს, შეშინდება, ან თუნდაც, სიცილს მოჰკრავს ყურს, გონებას კარგავს.

კეიტლინ უოლესის უსიამოვნებას სამედიცინო ენაზე კატალეფსია ეწოდება, ნერვული სისტემის დაავადება, რომლის დროსაც ნებისმიერი მოულოდნელობა გონების დაკარგვას იწვევს. ისეთი ჩვეულებრივი ხმები, როგორიც შეიძლება მოჰყვეს, მაგალითად, კარის დახურვას, ძაღლის ყეფას ან ქუჩაში ავტომობილის სიგნალს, მორიგი შეტევის მიზეზი ხდება.

– ერთხელ რაღაცაზე ვიცინოდი და უეცრად გონება დავკარგე. ასეთ მომენტებში არ შემიძლია კუნთების კონტროლი, ვერ ვსაზღვრავ, სად უნდა დავვარდე, რადგან, უბრალოდ, პარალიზებული ვარ ხოლმე, – ასე ახასიათებს საკუთარ მდგომარეობას ბრიტანელი გოგონა.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ როგორც იშვიათი დაავადებების დროს ხდება ხოლმე, ექიმები ამ შემთხვევაშიც უძლურები არიან.

*lifenews.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## იუმორი



სიტუაცია ქორწილში:

– რამდენ ქორწილში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი შეუხედავი პატარძალი ჯერ არ მინახავს. ისიც კი ვერ გამიგია, ქალია თუ კაცი?

– ხმა ჩაიგდე, შე რეგვენო, პატარძალი ჩემი ქალიშვილია!

– უი, უკაცრავად, არ ვიცოდი, მამამისი თუ იყავით!

– მორჩა, ახლა კი მოგკლავ – მე დედამისი ვარ!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.30